# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 9 სექტემბერი 2000 №174 (1196) | ფასი 50 თეთრი



PRIMERA!

დღეიდან ესპანეთიც




ოთხგვერდიანი საგანგებო ჩანართი პროგნოზებით, ინტერვიუებით, კალენდრით, ყველა ტრანსფერით და ყველა კლუბის განაცხადით






ეს მოხდა 20 წლის წინ: თბილისის „დინამომ“ თასების თასის მეთექვსმეტედფინალში სალონიკის „კასტორია“ დაამარცხა და 13 მაისის ღამისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა. იგონებენ ოთარ გაბელია და რამაზ შენგელია.

ეს მოხდა ოთხჯერ, ოღონდ კარგია თუ ცუდი? ორიოდ სიტყვა „ოქროს გოლის“ წესზე.

ეს მოხდება 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე. სიდნეის ოლიმპიადასა და ქართველ ოლიმპიელებზე.

ეს მოხდება შემოდგომაზე. ჩემპიონთა ლიგის ყველა ჯგუფის კალენდარი და ცხრილები, რომელთაც თქვენ შეავსებთ.

რა თქმა უნდა, პლაკატი
ლუიშ ფიგუ
და ძველებური ფასი — 2 ლარი.

ორშაბათიდან
შეიძინეთ ჟურნალი
სარბიელი


# საქართველომ ამერიკას ისტორია წაუხდინა

## იერუსალიმის შვიდკაცა ტურნირის ფინალში „შფოთისთავი“ ამერიკელები ქართველებმა 21:14 დაამარცხეს

7 სექტემბერს იერუსალიმში შვიდკაცა რაგბის მიმდევრებმა სამდღიანი საერთაშორისო ბურთაობა დაასრულეს. რჩეულნი იყვნენ: ახალგაზრდა ფიჯელები და ახალზელანდიელები, სამხრეთაფრიკელები ამ ქვეყნის პროვინციათა ნაკრებებიდან, ამერიკელები, ყველასთვის მოულოდნელად ფინალამდე თამაშს თამაშზე რომ იგებდნენ და ქართველი „ბორჯღალოსნები“. ჩვენებმა შარშან იერუსალიმში მეორე ადგილი დაიკავეს, წლეულს კი ფინალშიც იმარჯვეს, „შფოთისთავ“ ამერიკელებს მათთვის საისტორიო გამარჯვება არ დაანებეს და 21:14 მოუგეს. წინ იანვარი და არგენტინაა, სადაც შვიდკაცას მსოფლიოს თასის ფინალური ტურნირი გაიმართება...


იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი




გია ახალაძის ფოტო

ერთი შვიდთაგანი: ბადრი ხეხელაშვილმა ფინალშიც ივარგა

ხვალ ეროვნულ სტადიონზე საქართველოს არაოფიციალური სუპერფინალია. ახალ ჩემპიონატში ქულადაუკარგავი მხოლოდ ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ და თასის მფლობელი თბილისის „ლოკომოტივია“. თუ ორივეს არა, ერთ-ერთს მაინც ამ უდანაკარგო სერიის შეწყვეტა მოუწევს. მცხეთაში კი ვიცე-ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ ექსჩემპიონ „დინამოს“ უმასპინძლებს და ბოლო ორ ტურში „სიონთან“ მარცხისა და „მერანთან“ ფრის შემთხვევითობის დამტკიცებას შეეცდება.

# სუპერფინალი

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

## 4 ტური

10 სექტემბერი, კვირა

ვიტ ჯორჯია — დინამო
ლოკომოტივი — ტორპედო
ბათუმი — სიონი
კოლხეთი — თსუ
დილა — გორდა
მერანი — იბერია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 3 | 3 | 0 | 0 | 12:1 | 9 |
| ტორპედო | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| დილა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| გორდა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:7 | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| მერანი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| კოლხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 3 |
| სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| იბერია | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |
| თსუ | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |

# მოულოდნელი მოსალოდნელს ვერ გასცდა



REUTERS ნიუ იორკიდან

ლინდსი დევენპორტი

## ლინდსი დევენპორტი პირველი ფინალისტია

US OPEN

გუშინ, უფრო სწორად, ჩვენი დროით უკვე დღეს, ნიუ იორკში, აშშ-ის ღია პირველობაზე პირველი ფინალისტის ვინაობა გაირკვა. სენსაცია არ მოხდა — მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ლინდსი დევენპორტმა ჩვეულად გაილაღა და თბილისელ მაყურებელთა ძველი ფავორიტი, წლევანდელი „ოუფენის“ ყველაზე მოულოდნელი ნახევარფინალისტი, 18 წლის ელენა დემენტიევა არ გაახარა: 6:2, 7:6 (7:5) მოსაგებად ლინდსის საათნახევარიც არ დასჭირვებია.


იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი




ზაზა კიკნაძის ფოტო

საქართველოს თასის ბოლო ფინალი: „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“ 0:0 (3:2პ)

# ამს თუ ამი არ ვუწოდეთ...

*გუშინწინდელი „სარბიელის" მესამე გვერდი ვინც იხილა, მოზრდილ თეთრ ლაქას თვალს ვერაფრით აარიდებდა. ეს სიცარიელე საქართველოს ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოს" ხელმძღვანელობის საქციელმა წარმოშვა — კლუბმა სეზონური აკრედიტაცია დაუკავა ჩვენს ქუთაისელ კოლეგას, „რეზონანსის" საფეხბურთო მიმომხილველს და გაზეთის იმერეთის ბიუროს ხელმძღვანელს, ფრიდონ კერვალიშვილს. ცხადია, ჩვენმა პროტესტმაც არ დაახანა.*

**რა მოხდა? საქმეში უკეთ გასარკვევად თავდაპირველად თავად „რეზონანსის" საფეხბურთო მიმომხილველს მივმართეთ:**

— რაც მოხდა, ჩემთვის მოულოდნელი იყო. ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ორიოდ დღით ადრე „ტორპედოს" პრეს-ატაშეს, ჯემალ ფირცხალავას მივმართე და მისგან ის მოვისმინე, რამაც თავდაპირველად გამაოცა, მერე კი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებაც მიმაღებინა. ცხადია, შემეძლო, შემეძინა ბილეთი, ანაც რედაქციისთვის სასეზონო აბონემენტის ყიდვა მეთხოვა, მაგრამ ასე არ მოვიქეცი.

იმ გუნდის თამაშის ცქერა ანაც ისეთ ჩემპიონატზე თვალყურის დევნება და წერა, სადაც ჩემპიონის ხელმძღვანელობას პრაქტიკულად აუხსნელი მიზეზით შეუძლია, ჟურნალისტს უარი უთხრას აკრედიტაციაზე, მიუღებელია. მირჩევნია, გამოთავისუფლებული დრო ოჯახს მოვახმარო.

**— კლუბის წარმომადგენლის პასუხს ვერ დაგვიკონკრეტებთ?**

— „ტორპედოს" ვიცე-პრეზიდენტ შედან ნანიკაშვილს პრეს-ატაშისთვის კარგა ხნის წინ უთქვამს, ეგ კაცი ჩვენზე ცუდ სტატიებს წერს და აკრედიტაცია არ მისცეთო. პრეს-ატაშესაც, ალბათ, არ სურდა, ცუდი მახარობელი ყოფილიყო, ეს ამბავი მანამდე არ გაუმხელია, ვიდრე საშვი არ მოვითხოვე.

**— ცუდ სტატიებში რა იგულისხმებოდა?**

— ფირცხალავას გადმოცემით, კლუბის ხელმძღვანელობა „ტორპედო" — „ცრვენა ზვეზდას" მატჩისშემდგომ რეცენზიაში გამოთქმულ ზოგიერთ ჩემს მოსაზრებას გაუნაწყენებია, კერძოდ, გიალო ჩხაიძეზე გამოთქმულ აზრს, რომელსაც, მე ვთვლი, არსებობის უფლება გააჩნია. ჩხაიძეს ბოლო ხანს სათადარიგოთა სკამზე უფრო ხშირად ვხედავდით „ალანიასა" თუ თბილისის „ლოკომოტივში" და ის „ტორპედოში" გასაიდუმლოებულ და გაუგებარ ვითარებაში აღმოჩნდა.

ციტატა ასეთია: „სპორტული პრინციპებისათვის ამოუცნობი მეთოდებით გუნდში კვლავ მოხვედრილმა გიალო ჩხაიძემ კოცინს მოჭრილი დაურტყა და „ტორპედოს" კუთხური გამოუმუშავა".

გარდა ამისა, სტატიაში გაიპარა კორექტურა, რომელიც იმდენად ცვლიდა და გაუგებარს ხდიდა წინადადების აზრს, რომ ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანი სარედაქციო შეცდომას გაიგებდა და ამ ფრაზას ხელზე არ დაიხვევდა.

„უსაშველო ოპტიმისტი უნდა ყოფილიყავი კაცი, ტორპედოელთა მორიგ ეტაპზე გასვლა გეოცნება. თუმცა, ქუთათურთა მობილურ მზადებას იმის ხელწერა ეტყობოდა, ყიფიანი სპონსორთა წინაშე თავის შერცხვენას შეეცდებოდა".

ბავშვიც კი მიხვდება, „შერცხვენას" ნაცვლად „არშერცხვენას" უნდა ეწეროს.

მოკლედ, იმ წერილმა „ტორპედოს" მესვეურები იმ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, რომელიც „რეზონანსმა", „სარბიელმა" და ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშემ დაგმეს.

— როგორც ჟურნალისტს, „ტორპედოს" ხელმძღვანელობის საქციელი მიუღებლად მიმაჩნია. ამ საკითხის ღრმად შესწავლა ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ დამავალა. ქუთაისური კლუბის შესაბამის სამსახურს კითხვით მივმართე და ოფიციალურ პასუხს ველოდებით — გვითხრა ფედერაციის პრეს-სამსახურის უფროსმა მამუკა კვარაცხელიამ, მისმა „ტორპედოელმა" კოლეგამ, ჯემალ ფირცხალავამ კი მომხდარის კომენტარზე თავი შეიკავა.

რაკი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი უკვე სიდნეის ოლიმპიადაზე იმყოფება, აზრის გამოთქმა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს, „სარბიელის" მთავარ რედაქტორს, ზურაბ ფოცხვერიას ვთხოვეთ.

— თუ ჟურნალისტის ნაწერი ადამიანური ეთიკის ნორმებს არ ეწინააღმდეგება, მსგავსი საქციელი ყოვლად დაუშვებელია. პირიქით, ჟურნალისტი სწორედ იმიტომ არსებობს, რასაც უარყოფითად ჩათვლის, უარყოფითად შეაფასოს, დადებითი — დადებითად. უარყოფითად წერსო — ამ კრიტერიუმით რეპორტიორის მატჩზე დაშვება-არდაშვებაზე მსჯელობა მიუღებელია. რაც მთავარია, „ტორპედოს" ხელმძღვანელთა ეს მოქმედება ხელს არაფრით შეუწყობს და პირიქით, შეუძლებელს გახდის ჟურნალისტებსა და კლუბს შორის ურთიერთობას — გვითხრა ზურაბ ფოცხვერიამ.

დიდი ხანი არ გვაშორებს იმ დროს, როცა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ოდენ მოვალეობის მოხდის მიზნით ტარდებოდა და ფეხბურთის ფედერაციის დანაკვეხნი, ჩვენი საქმე ერთადერთია, რომელიც საომარ პირობებშიც არ შეჩერებულაო, დიდი ვერაფერი თავმოსაწონი იყო. იმ არცთუ შორეულ წლებში იმდენი დაშავდა (ზოგი დღესაც შავდება), რომლის გამოსასწორებლად ერთი და ორი ათწლეული არ იკმარებს.

იმ დროში ერთი უმაღლესლიგელის რვა ფეხბურთელი მეორის ცხრას უგებდა, ოქმში კი სათადარიგოებიც კი უკლებლივ იწერებოდა. სამაგიეროდ იმ დროშივე ოქმში ყოველთვის არ ეწერა ფეხბურთელების გაფრთხილება და ეს გუნდის მესვეურთა მარიფათზე და მსაჯთა სინდის-ნამუსზე თუ უნამუსობაზე ეკიდა.

იმ დროში ერთი ქართული კლუბი მეორეს ფეხბურთელს რომ მიჰყიდდა, არ აფრთხილებდა, უეფასგან დისკვალიფიცირებულია და ევროტურნირში სათამაშოდ არ გამოგადგებაო. ეს ამბავი ფედერაციასაც ყურსგარეთ ჰქონდა გაშვებული და დასჯილი მოთამაშის თამაშისთვის მოგებულ კლუბს უეფა წაგებას უთვლიდა.

ერთი სიტყვით, დრო იდგა, ფეხბურთი კი არა, სპორტის ერთ სხვა სახეობაში ოლიმპიური ჩემპიონი სასწორამდე ვერ მიჰყავდათ.

იმ დროში არც არვის სურდა, სპორტულ შეჯიბრებებზე ხალხს და მითუმეტეს ამ ხალხის მომზიდველ ჟურნალისტებს ევლოთ და რაკი არც იყო გაზეთი, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის ყველა მატჩს გამოეხმაურებოდა, ბევრი რამ იმალებოდა.

იმხანად საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მატჩის ანგარიშებს და ოქმებს მალავდა. ერთ-ერთი მაშინდელი ფუნქციონერის სიტყვებია — ის ოქმები იმიტომ გჭირდებათ, რომ მყვირალა სათაური დაარქვათ, გაზეთი რომ გაგეყიდოთო(?!).

ერთი სიტყვით, ფეხბურთის დიდკაცობა თუ წვრილფეხობა ასეთ პოზიციაზე იყვნენ — მადლობა თქვით, რომ ჩემპიონატს ვატარებთ და თავი დაგვანებეთ. თქვენ — თქვენთვის, ჩვენ — ჩვენთვისო...

მაგრამ მაშინ საქართველოს ნაკრები უგებდა უელს-ბულგარეთს და გული გვწყდებოდა, რატომ ჩანდა უსუსური ინგლის-გერმანიასთან. დღეს კი აგებს ესტონეთ-ირანთან და ვეღარ უგებს თვით სომხეთ-აზერბაიჯანს.

და მაინც, ფეხბურთის დონის შეუჩერებელი ვარდნის მიუხედავად, შეიცვალა ურთიერთობები ფედერაციას და ჟურნალისტებს, ჟურნალისტებს და კლუბებს შორის.

გამოიცვალა თვით ათგზის ჩემპიონი და გვეგონა, რომ ის ცუდი დრო წარსულს ჩაბარდა. მაგრამ რის გამოც ეს წერილი დაიბეჭდა, ეს საპირისპიროზე მეტყველებს. „ტორპედოს" თავკაცობამაც ძველი ხერხი გაიხსენა. ამით, იმის ნაცვლად, რომ ჩემპიონი მეტს გააცნოს და შეაყვაროს, კლუბს მტერს უმრავლებს. მედიასთან მტრობა კი ჯერ კაცს არ გამოდგომია.

ერთხელაც გვიხდება ახსნა, რომ ჩვენ ჟურნალისტები მხოლოდ საკუთარი ცნობისმოყვარეობის კი არა, გულშემატკივართა ინტერესის დასაკმაყოფილებლად ვარსებობთ.

ვინც ამას შეიგნებს, იმასაც მიხვდება, ვინ დაზარალდება — ჟურნალისტი, რომელსაც საშუალებას არ აძლევენ, ფეხბურთის ნაცვლად ფეხბურთის მაგვარ თამაშს უცქიროს, რათა მკითხველს მასზე, როგორც ფეხბურთზე მოუთხროს თუ ის მხარე, რომელიც ასეთი აუწონელი დახმარების გარეშე ანუ უმაყურებლოდ დარჩება და საერთოდაც დაუძლურდება?

ის, ვისაც არ სურს მატჩზე ჟურნალისტის დასწრება, მოწადინებული არაა აავსოს განახლებული სტადიონი. მაშ რად დაახარჯეს სტადიონს, ბაზას ის ფული, რომელშიც უმაყურებლოდ მოგებას ვერავინ ნახავს?

საგანგებო სამთავრობო კომისიის მოკვლევის მაგალითებზე ჭკუასთან ახლოსაა ის აზრი, რომ დღეს ქართული ფეხბურთი გამართულ საფეხბურთო მეურნეობაზე მეტად ფულის სარეცხ უზარმაზარ მანქანას ემსგავსება.

ჩვენ სარეკლამო აგენტები არ ვართ, რომ ვინმეს სარეცხი საშუალებები დავუწუნოთ და სხვა ვურჩიოთ. უბრალოდ, გარეცხილზე რომ ლაქას შევნიშნავთ, ჩვენი ვალია, ვთქვათ. და კიდევ — ჩვენი ვალია, გაფაციცებით ვადევნოთ თვალყური იმას, რომ მრეცხავმა ნარეცხ-ნაბანს ბავშვიც არ გადააყოლოს.

**ვახტანგ ბზიკაძე**




მამუკა ფარჯიანის ფოტო

კერვალიშვილისთვის შესვლა აკრძალულია!




ლევან კობიაშვილი: ირანთან მატჩი ზედმეტი იყო

# საწოლიდან მინდორზე

*გერმანული „ფრაიბურგის" ქართველმა ლიდერმა ლევან კობიაშვილმა ბუნდესლიგის ბოლო ტურში, შინ, არჩილ არველაძის „კიოლნის" წინააღმდეგ 22 წუთი ავადმყოფმა ითამაშა, მისი გუნდიც მხოლოდ ფრეს დასჯერდა.*

*„ფრაიბურგ" — საქართველოს ნაკრების ამხანაგური შეხვედრის შემდეგ, „კიოლნთან" მატჩამდე, ლევანი ბურთს არ გაჰკარებია, სიცხიანი იწვა და წამლობდა. ეს ამბავი რომ ვიცოდით და საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა „კიოლნთან" მაინც ითამაშა, ცოტა გაგვიკვირდა კიდეც. გაოცებულა თურმე თავად ლევანიც, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ.*

— პირველი სექტემბრის შემდეგ საერთოდ არ მივარჯიშია, შეუძლოდ ვიყავი, ეტყობა, რაღაც ვირუსი შემეყარა. „კიოლნთან" თუ მათამაშებდნენ, ვერც წარმოვიდგენდი. მწვრთნელმა ფინკემ მატჩის წინ ისე, სხვათა შორის მითხრა, განაცხადში შეგიყვან, ტრიბუნაზე ყოფნას სჯობს, სათადარიგოთა სკამზე ჩამოჯდეო. მეც ჩავითბუნე და მწვრთნელის თხოვნა შევასრულე. მეორე ტაიმში კი ისე წავიდა საქმე, რომ ერთ-ერთმა თანაგუნდელმა უხეშობას უმატა, მსაჯს ხშირად ეკამათებოდა, თანაც გაფრთხილებული იყო და ფინკეს შეეშინდა. ეგ ისე თამაშობს, თუ არ შევცვალე, მსაჯი გააგდებსო, მითხრა. მწვრთნელს გაკვირვებულმა შევხედე, რაღა უნდა მექნა, დაახლოებით 20 წუთი ვითამაშე, ჯანმრთელობის კვალობაზე, ვფიქრობ, ნორმალურადაც.

**— ახლა როგორ ხარ?**

— მატჩის შემდეგ თავს უარესად ვგრძნობდი, ანტიბიოტიკებს ვყლაპავდი და გამოვკეთდი, დღეს ვივარჯიშე კიდეც. ოღონდ არა მთელი დატვირთვით.

**— „კიოლნთან" ფრე ლოგიკური შედეგი იყო?**

— დიახ, მოგებას არ ვიმსახურებდით. ცუდად ვითამაშეთ. მეტოქეზე ბევრი მომენტი კი შევქმენით, მაგრამ რეალური არც ერთი. ცუდია, ჩემპიონატის პირველი ორი მატჩი კარგად რომ ჩავატარეთ და ახლა შინ ორი ქულა დავკარგეთ.

**— იქნებ „კიოლნთან" მატჩამდე უბრალოდ, გიმართლებდათ?**

— არა, შარშანდელთან შედარებით ნამდვილად უკეთ ვართ მომზადებულები. თუმც ისიც სათქმელია, რომ ბუნდესლიგის ფავორიტებს ჯერ არ შევხვედრილვართ. ხვალაც როსტოკში მივემგზავრებით, „ჰანზასთან" სათამაშოდ. სამ ქულას კი ვეგმავთ, მაგრამ მე ქულითაც კმაყოფილი დავრჩები. გასული სეზონის არ იყოს, ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე ახლაც ტრავმირებულია.

**— ცქიტიშვილი და იაშვილი ხომ არა?**

— არა, საბედნიეროდ, ორივე ჯანმრთელადაა. ცქიტიშვილმა როგორც იქნა, აღიდგინა ჩვეული ფორმა და ნელნელა ძირითადში იმკვიდრებს ადგილს. ტრავმირებულები სხვები არიან. „კიოლნთან" მატჩისას ნახევარმცველი ცაიერი დაშავდა და ერთ თვეს ვერ ითამაშებს.

**— ფინკე რას ამბობს?**

— მნიშვნელოვანს არაფერს. სამ მატჩში შვიდი ქულა უფრო გაახარებდა, თუმცა ხასიათწამხდარი არც ახლაა. ხუთი ქულა, მგონი, ნორმალური შედეგია. ბუნდესლიგაში ოთხი გუნდია, რომლებიც ჯერჯერობით არ დამარცხებულან, მათგან ერთ-ერთი „ფრაიბურგია". რატომ უნდა იყოს ფინკე უკმაყოფილო?

**— კარგი, „ფრაიბურგზე" მოვრჩეთ. ახლა ამას გკითხავ, ნაკრების თაობაზე ნაკრების ფეხბურთელებს ლაპარაკი რატომ აგიკრძალეს?**

— „ფრაიბურგთან" მატჩის წინ გამოგვიცხადეს, ჟურნალისტებთან ლიტვის მატჩამდე ნაკრებზე არაფერი თქვათო. რატომ, არ ვიცი.

**— იმის გამო ხომ არა, შენ რომ თქვი, ამდენი არაფრისმომტანი ამხანაგური მატჩი საჭირო არ არისო, ეროვნული გუნდის სხვა წევრებმაც არ გაიმეორონ?**

— ეგრე არა, მე ვთქვი, რომ ირანთან მატჩი იყო ზედმეტი.

**— რატომ?**

— ვერ გეტყვით, ლაპარაკი აკრძალული მაქვს.

**— ფრაიბურგში როგორ გამოეხმაურნენ საქართველოს ნაკრებთან თამაშს?**

— ყველა ამბობდა, რომ ნაკრები „ფრაიბურგზე" ძლიერი გუნდია და ამიტომაც წავაგეთო. მე, იაშვილსა და ცქიტიშვილს იქით-აქით თითო ტაიმის თამაში კი გაგვიჭირდა, მაგრამ თავი არ დაგვიზოგავს.

**ბობა ინასარიძე**

# დემეტრაძე რეზერვებს გაუშინაურდა

— **სჯობს,** ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელმა ფარმკლუბშიც ითამაშოს. ეს მათ ძალიან გამოადგებათ, ფორმაშიც შევლენ და საკუთარი თავის რწმენაც შეემატებათ" — ასე ახსნა გიორგი დემეტრაძისა და სხვა კიევის დინამოელების სარეზერვო გუნდში თამაში უკრაინული კლუბის ერთ-ერთმა მწვრთნელმა ანატოლი დემიანენკომ.

დემეტრაძემ ორი დღის წინ „დინამო 2"-ის შემადგენლობაში პირველ ლიგაში „ჩერკასის" წინააღმდეგ ითამაშა. იგი მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე, როცა ანგარიში 2:0 იყო. მატჩი საბოლოოდ 7:0 მოიგეს მასპინძელმა დინამოელებმა. ქართველმა თავდამსხმელმა ორი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასიც შეასრულა. ისეც ბევრი იაქტიურა (ისე, ამას მომავალ ოთხშაბათს ეინდჰოვენში ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ მატჩში აქტიურობა სჯობს).

ჩერკასელებმა, კიევში „დინამო 2"-თან სათამაშოდ რომ ჩავიდნენ, მასპინძელთა შემადგენლობას გადახედეს და... ბარემ შევჩენკო და რებროვიც ჩამოგეყვანათო, ალბათ ამას გაიფიქრებდა სტუმართა თავკაცი ალექსანდრ კირილიუკი.

მატჩში მონაწილე 16 კიეველიდან (შეცვლაზე 5 ფეხბურთელი შევიდა) 14 მათგანი ლობანოვსკიმ ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შეიყვანა. მათ შორის მინდორზე იყვნენ: შოვკოვსკი, მაქსიმიუკი, გერასიმენკო, მიხაილენკო, კოსოვსკი, იაშკინი, შაცკიხი, დემეტრაძე... აქედან გამომდინარე, 7:0-იც აღარაა გასაკვირი.

აღსანიშნავია, რომ „დინამოს" მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი დემეტრაძეს სარეზერვო გუნდში საკმაოდ ხშირად ათამაშებს. გიორგისაც თითქმის ყველა მატჩში გოლი გააქვს, წინა ტურში ჩვენებურმა, გემახსოვრებათ, ძირითად გუნდშიც გამოიჩინა თავი. ტერნოპოლის „ნივას" ერთბაშად ოთხი ბურთი შეუგდო.

...თუმც ეგ რა არის, დემეტრაძეს, კალაძესა და კიევის „დინამოს" ნამდვილი სეზონი მომავალი კვირიდან ეწყება.

**ვანო ოქროპირიძე**



ზაზა ჯანაშია (ბურთით) ძველებურად კარგად ათამაშდა

# ჯანაშიამ ჯანაშიას აჯობა

## მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველმა ფორვარდმა რომის „ლაციო" გაიხსენა

**ბოლოს** ეს 16 ივლისს, რუსეთის ჩემპიონატის მე-17 ტურში მოხდა, როდესაც მოსკოვის „ლოკომოტივმა" თანაქალაქელ „სპარტაკს" უმასპინძლა. რკინიგზელები ლიდერ „სპარტაკს" რვა ქულით ჩამორჩებოდნენ და გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდათ. თუმცა რა გამარჯვება, 37-ე წუთზე უკვე 0:2-ს აგებდნენ და საჩემპიონო ოცნებებსაც ემშვიდობებოდნენ. ტაიმიც თითქოს სპარტაკელთა ორბურთიანი უპირატესობით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ „ლოკომოტივის" ქართველმა ფორვარდმა ზაზა ჯანაშიამ სხვაგვარად ინება — მისმა ზუსტმა დარტყმამ შესვენებაზე მასპინძლები მატჩის გადარჩენის იმედით წაიყვანა. საბოლოოდ „ლოკომოტივმა" ის თამაში 3:2 მოიგო. ჯანაშიამ კი ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა. ეს იყო ქართველის პასუხი რუსული პრესის იმდროინდელ კრიტიკაზე.

მას შემდეგ თითქმის ორი თვე გავიდა. ჯანაშიამ თავისი გუნდის შემადგენლობაში საკმაო რაოდენობის მატჩები ჩაატარა, თუმც თავი ვერაფრით გამოიჩინა. ისევ კრიტიკა და კრიტიკა... ხმა ამოიღო „ლოკომოტივის" მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმაც, რომელსაც ჩვენებური, სხვათა შორის, „ატეცს" უწოდებს. „ფორვარდის მთავარი მოვალეობა გოლის გატანაა, ჯანაშია კი ამას ვერ აზერხებს. მართალია, მომენტებს ქმნის, მაგრამ... „დინამოსთან" მატჩში, მას რომ ერთი ასპროცენტიანი შანსი გამოეყენებინა, არავინ იცის, თამაში როგორ დასრულდებოდა" — თქვა სიომინმა ზაზას მისამართით. არც ამან გაჭრა. ჩვენებურს თამაში არ მისდიოდა, გატანა უჭირდა.

და აი, ოთხშაბათს ნავსი გატყდა. 16 ივლისის შემდეგ ჯანაშიამ პირველი გოლი იზეიმა. ეს ნოვოროსიისკში, „ჩერნომორეცთან" შეხვედრაში მოხდა. 58-ე წუთზე, როცა სტუმრები 1:0-ს იგებდნენ და „ჩერნომორეცის" შეტევებს გაჭირვებით იგერიებდნენ, ზაზამ მატჩის ბედი გადაწყვიტა. „ლოკომოტივმა" საბოლოოდ 3:0 იმარჯვა.

„გადმოვარდნილ ბურთთან პირველი მე გავჩნდი, მცირეოდენი პაუზით მცველი მოვატყუე, ჩამოვიშორე და ძლიერად დავარტყი. მეკარემ ბურთს ხელი კი წაატანა, მაგრამ ვერაფერს გახდა. სულ ეს იყო" — იხსენებს ჯანაშია, რომელმაც მთელი თამაში ჩინებულად ჩაატარა. „სპორტ ექსპრესმა" იგი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა, ისევე როგორც „სპარტაკთან" „7"-იანიც დაუწერა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც (წლეულს მეორედ) შეიყვანა.

„კმაყოფილი ვარ, თანაც ძალიან. ბოლოს ასე კარგად შარშან გაზაფხულზე, მოსკოვში, რომის „ლაციოსთან" ვითამაშე. პირველ ხუთ წუთს თამაში ისე წამივიდა, მივხვდი, დღეს ჩემი დღე იქნებოდა. სხვა დროს მალე ვიღლებოდი ხოლმე, მატჩის ბოლომდე ვერ ვძლებდი. ახლა კი ვატყობ, ძველებურ ფორმაში ვარ. მთელი 90 წუთი დავფრინავდი" — განაცხადა ჯანაშიამ მატჩის შემდეგ.

რუსი ჟურნალისტები ერთგვარი გაკვირვებით აღნიშნავენ ქართველი თავდამსხმელის ნაყოფიერ და სასარგებლო გარჯას დაცვაში. „ხშირად ზაზა მეტოქეს 40 მეტრის მანძილზე მისდევდა, საჯარიმოსთან ჩაუსწრებდა და „პადკატით" ბურთსაც ართმევდა" — წერს „სპორტ ექსპრესი". ეს სიომინის დავალება ყოფილა, ერთ ფრთას მეტოქის შეტევისას ჯანაშია გადაკეტავს, მეორეს — პიმენოვიო, უთქვამს მწვრთნელს შეხვედრის წინ შეგირდებისთვის.

სიომინმა ჯანაშია მატჩის შემდეგ შეაქო, თავის შესაძლებლობებზე ნაკლებად დღეს არავის უთამაშია, აი, ჯანაშიამ კი მეორე ტაიმში თავის თავს აჯობაო, განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

ერთი სიტყვით, როგორც იქნა, ჯანაშიამ ჩვეულად მოხიბლა რუსი მაყურებელი. ახლა საკითხავი ის არის, ჩვენებური მომავალ მატჩებშიც ასევე გააგრძელებს თუ მის გოლს კიდევ ორი თვე უნდა ველოდოთ?

**ვანო ოქროპირიძე**

გიო ახვლედიანის

## სვეტი

# პრემია

**ერთი** ბოლშევიკური ფილმია, რომელსაც „პრემია" ჰქვია.

იქ ისეთი ამბავი ხდება, ერთს შრომის ბრიგადას ხელმძღვანელობა პრემიას გამოუწერს, შეირგეთ კარგი მუშაობისთვისო.

კომუნისტურ-პატიოსანმა ბრიგადამ კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ჩვენ ისეთი არაფერი გვიმუშავია, რომ პრემია მივიღოთო. ატყდა ერთი ამბავი, ცეკა-ტეკას სირბილი და ამგვარი რამეები, მაგრამ იმ ბრიგადას მაინც ვერაფერი დააკლეს, არ გვეკუთვნის და მორჩაო.

ეს ძველი, მოსაწყენი ფილმი კი იმიტომ გამახსენდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი იწყება და ამ ციკლის წარმატებულად დასაწყებად საქართველოს ნაკრებს ტომრებით ფულს, ანუ პრემიას პირდებიან. ლიტვასთან მოგება — 100 ათასი ლარი, იტალიასთან მოგება — 300 ათასი, იტალიასთან ფრე — 200 ათასი, ორივე მატჩის მოგება — 600 ათასი და ორივე მატჩში ფრე — 100 ათასი.

ძაან ციფრებია და რეალურ შედეგებთან, რეალურ შესაძლებლობებთან არცთუ ახლოს მოტრიალე. ამიტომაცაა ამხელა ციფრები. თუმცა, ლიტვასთან მოგება წარმოუდგენელი არ იქნებოდა, იტალიასთან ფრეც ორიოდ წლის წინ რეალობა იყო. მაგრამ ახლა ეს „იყო" და „იქნებოდა" შორს წაგვიყვანდა, მითუმეტეს, რომ ნაკრებს წარმატება უნდა ვუსურვოთ, ხოლო ბიჭებს ამ მეტად სოლიდური თანხის როგორმე მოპოვება.

საქართველოს ნაკრებში არა ერთი-ორია ისეთი ფეხბურთელები, რომელთათვისაც ამ პრემიიდან (შესაძლოდ) აღებული თანხა ერთი კვირის ხელფასი იქნებოდა. მაგრამ ასევე საკმაოდაა ისინიც, ვისთვისაც ეს ფული ერთ რამეს ნიშნავს. ფედერაციის გადაწყვეტილება სწორი და საჭიროა, ფულიც, ათიოდე ტომარა, მაგრამ მე მგონია, რომ საქართველოს ნაკრებმა ფედერაციას უნდა დაუბრუნოს რაიმე საჭირო წარმატების შემთხვევაში, ნაკრებმა პრემია ფედერაციას უნდა დაუბრუნოს რაიმე საჭირო საფეხბურთო საქმისთვის.

ასე უფრო სწორი იქნებოდა. პირველ რიგში, გულშემატკივართა წინაშე. განსაკუთრებით ბოლო წლების სანაკრებო თამაშის ფონზე. რა თქმა უნდა, სხვისი ფული ჩვენი სათვლელი არ არის და ღმერთმა თავისი გასამრჯელო ყველას ისე მოახმაროს, როგორც გაეხარდება, მაგრამ არა მგონია რომ საქართველოს ნაკრებს ერთი გასვლითი მოგებისთვის პრემია ეკუთვნოდეს თავისი ისტორიის, დღევანდელობის, სულის და მისწრაფებების გათვალისწინებით. თანაც იმ ოდენობით, მრავალ დამშეულ ბავშვს რომ გამოკვებავდა.

სტიმული?

სტიმული მხოლოდ ტომრით ვერ გამოიხატება. არსებობს უფრო ადამიანური სტიმულიც. მაგალითად, ეროვნული ღირსება.



საცვირაო უნგრეთი — იტალია: ჯანლუკა ძამბროტა იშტვან ჰამარს გამოეცალა

REUTERS

# ჰამარი, ბეითარი და 15 000 დოლარი

**იერუსალიმის** „ბეითარის" უნგრელი ნახევარმცველი იშტვან ჰამარი ებრაულ კლუბში უკვე აღარ ითვლება პერსონა ნონ გრატად და უახლოეს დღეებში მას ალბათ თამაშის საშუალებასაც მისცემენ.

ჰამარი უეცრად მას შემდეგ გახდა „ბეითარისთვის" ძველებურად საჭირო, რაც ისრაელის ნაკრების მარცხენა, მოიერიშე მცველმა დავიდ ამსალემმა ოთხშაბათს ვარჯიშისას ფეხი მოიტეხა.

უნგრელმა "ბეითარის" ხელმძღვანელობა და მთავარი მწვრთნელი ელი გუტმანი გააკრიტიკა, რაკი იერუსალიმელთა ახალმა თავკაცმა ძირითადი შემადგენლობიდან ამოგდება მოუნდომა.

კრიტიკის პასუხად გუტმანი ფეხბურთელს მთლად შემოსწყრა და გუნდიდან დაუყოვნებლივ დაითხოვა.

ჰამარს მხსნელად თანაგუნდელი ნირ სივილია მოევლინა, რომელიც ამსალემს ვარჯიშისას უხეშად ეთამაშა. ტრავმირებულს კოჭი დაუზიანდა და საოპერაციო შეიქნა.

ამ ფაქტმა სიტუაცია უეცრად შეცვალა და გუშინწინ უნგრელს კვლავ გაუღეს კლუბის კარი. სამაგიეროდ, მონანიე ჰამარს თანაგუნდელების თანდასწრებით გუტმანის წინაშე მობოდიშება და ჯიბის 15 ათასი დოლარით შეთხელება მოუხდა.

— ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რაც გუტმანის და გუნდის საზიანოდ ჩავიდინე, მაგრამ ვფიცავ, ზოგი რამ, რაც მომაწერეს, სიმართლეს არ შეეფერება — თქვა უნგრელმა გუშინწინ, გუნდის კრებაზე.

„ბეითარს" იშტვან ჰამარი უკვე დღეს დასჭირდება ჰაიფას „მაკაბისთან" ურთულეს მატჩში, მაგრამ ჯერ გაურკვეველია, ათამაშებს თუ არა მას ელი გუტმანი.

ხვალ კი იერუსალიმელები რომს ეწვევიან, სადაც „სტადიო ოლიმპიკოზე" იორდანიის გუნდს უნდა ეთამაშონ სამშვიდობო ტურნირის პროგრამით.

შეგახსენებთ, რომ „ბეითარი" საქართველოს ვიცე ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას" მეტოქე გახლდათ უეფას თასზე და თბილისური კლუბი 3:0, 1:1 დაამარცხა.

იშტვან ჰამარი კი „ბეითარის" გარდა საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელ უნგრეთის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და კვირას ბუდაპეშტში იტალიასთან ფრედ, 2:2 ნათამაშევ მატჩშიც მონაწილეობდა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი · უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 12

**4 ტური** ანონსი

# ვის მოხვდება აპერკოტი?

„ლოკომოტივის“ ამბიცია და „ტორპედოს“ პრესტიჟი. რა უნდა „დინამოს“ და რას ფიქრობს „ვიტ ჯორჯია“. ნუთუ ისეთი სუსტია „ბათუმი“, რომ „სიონის“ დამარცხებას ვერ შეძლებს. „კოლხეთი“, წარსულის აჩრდილი, თუ თსუ-ს პირველი გმირობა. რას შესთავაზებს მუდამ გამოუცნობი „დილა“ ზღვისპირელთა დამაქცევარ „გორდას“. ავჭალას ფეხბურთი კი უყვარს, მაგრამ იქნებ „იბერიასაც“ ელირსოს პირველი ქულა.

ყველაფერი ზემოთ ნავარაუდევის სისწორე მეოთხე ტურში გამოჩნდება. კვირას ისიც გაირკვევა, ჩემპიონატში ისევ ორი ხელისუფალი იმეფებს თუ ერთი იმონებს დანარჩენებს. მოკლედ, 10 სექტემბერს ქომაგი გადასარევს და აქამდე არნახულს ვერაფერს იხილავს, თუმც არსებული ინტრიგა ფეხბურთის მოყვარულებს სტადიონისკენ გახედვას მაინც აიძულებს.

მეთორმეტე ეროვნულის მთელი ელიტა (ჩემპიონი, ვიცე-ჩემპიონი, ბრინჯაოს პრიზიორი და თასის მფლობელი) კვირას თბილისსა და მცხეთაში შეიყრება. „ლოკომოტივი“ შეეცდება, დაუმტკიცოს „ტორპედოს“, რომ მისთვის ვერცხლის თასი შემთხვევით არ აურთმევია, ხოლო „ვიტ ჯორჯია“, ალბათ, „დინამოს“ აგრძნობინებს, რომ ახლა მისი დროა და არეულ ყოფას დალაგებული სჯობს.

ორივე მატჩი ცენტრალურია ტურში, ამიტომ გულშემატკივრებს დაფიქრება მართებთ, რათა არ შეცდნენ და სანახავად უკეთესი მატჩი შეარჩიონ. ისე, ფეხბურთის ფედერაციას მცხეთური და თბილისური მატჩები სხვადასხვა დღეს, ან სხვადასხვა დროს რომ დაენიშნა, ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა და ქომაგიც ორივე თამაშზე გაცილებით მეტი მოგროვდებოდა.

საუბარი „ლოკომოტივ“ — „ტორპედოს“ დაპირისპირებით დავიწყოთ. რკინიგზელები ჩემპიონობისკენ ილტვიან და ამისთვის მეტოქეებს არ ინდობენ. ძოძუაშვილის ბიჭებმა ბოლო ორ ტურში თერთმეტი გოლი გაიტანეს, რაც ბოლო პერიოდის „ლოკომოტივისთვის“ მეტად უჩვეულო შედეგია. უნდა ვივარაუდოთ, რომ სპკვირაო მატჩში თბილისელები თავქუდმოგლეჯილნი არ მიაწყდებიან მეტოქის კარს, რადგან „ტორპედო“ არც „გორდაა“ და არც ახალგაზრდული თსუ.

არა გვგონია, მსგავსი რამ ყიფიანმა დაავალოს თავის შეგირდებს. „ლოკომოტივის“ აპერკოტი „ტორპედოს“ ძალიანაც კარგად ახსოვს, ამიტომ სიფრთხილეს რომ თავი არ სტკივა, ქუთაისელებმა ეს კარგად უწყიან.

ეროვნულზე დაძაბული, ფრთხილი პოზიციური თამაში უნდა ვიხილოთ, რომელსაც წამიერი აფეთქებები თუ გაალამაზებს. ყიფიანი და ძოძუაშვილი იმდენად კარგად იცნობენ ერთმანეთს, რომ არა მგონია, დაფარული რაიმე სიახლე კიდევ მოეპოვებოდეთ ტაქტიკურ არსენალში. ამიტომ, ჩვენი აზრით, მოიგებს ის, ვისაც უკეთესი შემსრულებლები ჰყავს. ამ მხრივ უპირატესობა ქუთაისელთა მხარესაა, თუმც არც რკინიგზელები არიან ძუძუმწოვარა ბიჭებით დაკომპლექტებული და ბურთიც მრგვალია.

„ბათუმთან“ საშინაო მოგების შემდეგ „ტორპედო“ პირდაპირ შეკრებაზე გადავიდა. არც ძოძუაშვილს გაუშვია ბიჭები დროის სატარებლად. საკვირაო დაპირისპირებაში დამარცხება ყიფიანს და ძოძუაშვილს იმდენად არ სურთ, რომ არ გამიკვირდება, თამაში ფრედ დასრულდეს.

ახლა ნება თქვენია, გინდათ თბილისი ირჩიეთ, გნებავთ მცხეთას მიაშურეთ, სადაც „დინამო“ ამ სეზონში უკვე მეორედ ჩადის. „არმაზზე“ პირველი სტუმრობა შედეგიანი იყო „დინამოსთვის“, მაგრამ რევაზ არველაძემ ისიც კარგად იცის, რომ „ვიტ ჯორჯია“ თსუ-ზე ბევრად ძლიერია და მის გუნდს გვარიანად გაუჭირდება. „დინამოს“ არ ეყოლება ანჩაბაძე, რომელიც შვეიცარიულ „არაუში“ იმყოფება გასინჯვაზე, სხვები კი, ბოლო ინფორმაციით, სრულ ჯანზე და მზადყოფნაში არიან.

დანაკლისი „ვიტ ჯორჯიას“ მეტი აქვს და მნიშვნელოვანი. ჯერაც ავადმყოფობს კლუბის ბომბარდირი გიორგი ქორიძე. ტრავმამ თავი შეახსენა და „მერანთან“ მატჩი ვერ დაასრულა ედიკ საჯაიამ. გიორგი ყიფიანი და ზვიად გვაზავა ბულგარეთში იმყოფებიან გასინჯვაზე. ასე რომ „არმაზზე“ გამოჩნდება, დანაკლისი ვისი უფრო ფასეულია.

„ვიტ ჯორჯიას“ ოფიციალური მატჩი „დინამოსთვის“ ერთხელაც არ მოუგია. უკეთეს შემთხვევაში ვეტერინარებს ფრე გაუჩარხავთ და ესეც დინამოელთა წისქვილზე ასხამს წყალს, თუმც არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „დინამო“ ადრე სულ სხვა იყო.

და მაინც, მცხეთაში ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი და პროგნოზის შემოთავაზებისგან ამჯერად თავს შევიკავებთ.

ჯანი კარნევალიმ იცოდა, რომ გუნდიდან დათხოვილი ვეტერანების სრულფასოვანი შეცვლა საძნელო საქმე იქნებოდა. იტალიელი იმასაც უნდა მიმხვდარიყო, რომ საქართველოში ორიოდ ხეირიანი მოთამაშის (რა თქმა უნდა, თავისუფალის) მოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ მწვრთნელმა მაინც სამომავლო „ბათუმს“ ჩაუყარა საფუძველი. ეს კი საპრიზო ადგილების მილმა დარჩენას ნიშნავს და აცლიან ამდენს კარნავალის? ალბათ, კი, რადგანაც იტალიელს უბატონოდ ჯერ ხმას არავინ სცემს.

მაგრამ „ბათუმის“ ამჟამინდელი ძალა „სიონის“ თავდადებას კი უნდა აუვიდეს. თამაში ბოლნისში რომ იყოს, სხვა ამბავია. „თემურ სტეფანიაზე“ „სიონი“ წელგამართული და თამამია, უცხო კედლებში კი მეტოქის კარისკენ გაწევის სურვილსაც აღარ ამჟღავნებს. ასეთი ტაქტიკა კი ძალიან იშვიათად თუ გაამართლებს და სწორედ ამიტომ ვანიჭებთ უპირატესობას ბათუმელებს.

„კოლხეთი“ საწყის სამ ტურში ერთი გამარჯვებითღა იმშვიდებს თავს და კიდევ, ალბათ, იმითი, ფოთელები მუდამ ძნელად რომ იწყებენ ჩემპიონატს, მაგრამ ძირითადის ექვსი მოთამაშის ასე ადვილად შეცვლა, გუნდის შეთამაშება და გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობების თუ ტრავმების თავიდან აცილება უმოკლეს დროში ფაქტობრივად შეუძლებელია.

„ფაზისზე“ მოთამაშე „კოლხეთი“, რა სიძლიერისაც უნდა იყოს, ნებისმიერი ქართული გუნდისთვის მაინც სოლიდური მოწინააღმდეგეა. ფოთელებს დანარჩენთაგან თავისებური, მხოლოდ ზღვისპირელთათვის დამახასიათებელი ჟინი გამოარჩევთ და ამიტომაც სტუმრად ჩასულ თსუ-ს გაუჭირდება. არა, სტუდენტები მთლად უშანსოდ როდი არიან, თანაც უკანდასახევი გზაც არ დარჩენიათ და მასპინძლებს დიდ ბრძოლას გაუმართავენ, მაგრამ თსუ-მაც არაერთი ხეირიანი მოთამაშე გაუშვა და გაასხვისა, ამიტომ „კოლხეთს“, ალბათ, ველარ გაუტოლდება.

გორელების ამბავი ყველას კარგად მოგვეხსენება. „დილა“ ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ გაზაფხულზე თავი მშვიდად და არხეინად იგრძნოს. კლუბის თავკაცებმა ერთი საშური საქმეც გააკეთეს, გუნდი გასაწვრთნელად ისეთ ხალხს ჩააბარეს, რომელთაც თავიანთი მოთამაშეების ავანჩავანი სხვებზე უკეთ მოეკითხებათ. მერაბ ხუციშვილისა და ვაჟა ხაჩირაშვილის ხელში დაფრთიანებულა „დილას“ მოთამაშეთა უმეტესობა. ამიტომაც მწვრთნელ-ფეხბურთელთა დამოკიდებულება და ურთიერთგაგება ბევრისთვის სანატრელიც კია.

„დილას“ მწვრთნელების უმთავრესი საფიქრალი ფეხბურთელთა ტრავმებია. გუნდს ამ მიზეზით რამდენიმე მოთამაშე აკლია და როცა ისინი მწყობრში ჩადგებიან, მაშინ ვიკითხოთ.

მიუხედავად ამისა, გორელები რუსთაველთა დამარცხებას ეცდებიან, მაგრამ აბა, „გორდას“ ჰკითხეთ. გასულ სეზონში არ იყო, შინ თუ სტუმრად „დილა“ სულ ცხარე ცრემლებით რომ ატირეს?! თანაც ახლა „გორდა“ ცარიელი ჟინი და ენერგიაა. ეს კი მეტად საშიში და გამორჩეული თვისება გახლავთ თანაბარძალოვანი გუნდების პაექრობისას.

„მერანი“ ისევ საშინაო მატჩს თამაშობს, თანაც მეტოქედ საკმაოდ დასუსტებული და შინაური უთანხმოებებით გაწამებული „იბერია“ ჰყავს. მორიგ სამ ქულას გეგმავენ ავჭალელები და, ალბათ, წარმატებასაც მიაღწევენ.

გაბელაიას ჰყავს უკრაინელი ლეგიონერი, რომელიც, მართალია, მის სახელოვან (ბევრ უსახელო) თანამემამულეებს ვერაფრით შეედრება, მაგრამ თამაშის ანაბანა იცის და სხვა დადებითი თვისებებითაც გამოირჩევა.

რაც ყველაზე მთავარია, აკაკი დევაძე ძველებურად ათამაშდა. ფეხბურთელები გრძნობენ, რომ მათ ზურგს მყარი კედელი უმაგრებს. თუ ავჭალელები მთლად არ მოეშვებიან და მატჩის მოგებას მარტო დევაძეს არ მოსთხოვენ, მაშინ „იბერია“ განწირულია.

სოსო ფრუიძეს ახალგაზრდული, მუშა და მებრძოლი გუნდი ჰყავს, მაგრამ წარმატების მისაღწევად ეს სულაც არაა საკმარისი. „იბერიას“ ჰაერივით სჭირდება ერთი, მეტოქის კარზე დაგეშილი ფორვარდი. ასეთი კი ეროვნულ ჩემპიონატში სანთლითაა საძებარი და ფრუიძე საიდან იპოვიდა.

„იბერიამ“ შეიძლება წააგოს და ეს, ალბათ, ასეც იქნება, მაგრამ ერთიც ფაქტია, სამტრედელებს ავჭალაში არავინ დაუსტვენს და შეაგინებს. ესეც ნუგეშია შინაურ სითბოს მოკლებული გუნდისთვის.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის ეროვნული ჩემპიონატი. კვირა საღამოს მეოთხე ტურიც მოგონებად გადაიქცევა. მერე იქნება მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და ასე შემდეგ. წინსვლა, დონის ამაღლება კი ჯერაც არსად ჩანს, ქართული ფეხბურთისთვის, თურმე, ჯერ არ მოუცლია.

**მამუკა ძვანტალიანი**

თბილისი. „ეროვნული“. 10 სექტემბერი. 18 საათი

## ლოკომოტივი — ტორპედო

მსაჯები: კ. მქსხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირეკავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფორცხალავა

მცხეთა. „არმაზი“. 10 სექტემბერი. 18 საათი

## ვიტ ჯორჯია — დინამო

მსაჯები: ა. მეშკოვი; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ბათუმი. „დინამო“. 10 სექტემბერი. 18 საათი

## ბათუმი — სიონი

მსაჯები: ა. კრიჟაშვილი (თბილისი); გ. კაკაჩიაშვილი, ნ. რუსიაშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

ფოთი. „ფაზისი“. 10 სექტემბერი. 18 საათი

## კოლხეთი — თსუ

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

გორი. „ცენტრალური“. 10 სექტემბერი. 18 საათი

## დილა — გორდა

მსაჯები: მ. მალალურაძე; ლ. სილაგავა, მ. ურუშაძე (ყველა თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

თბილისი. „კინათლე“. 6 სექტემბერი. 18 საათი

## მერანი — იბერია

მსაჯები: ზ. ანიაშვილი; ლ. რაზმაძე (ორივე გორი), ზ. ჯღარიძე (თბილისი); ა. ორდონიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია



მეთერთმეტე ეროვნულის „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“ 0:1.
კვირას, დინამოელთა კარს ტრავმირებული გიორგი ქორიძე, ალბათ, ვეღარ შეუტევს

| «ა» ზონა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 3 | 3 | 0 | 0 | 12:1 | 11 | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 |
| 2 ტორპედო | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 4 დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 |
| 3 დილა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 5 გორდა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:7 | -3 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | -6 | 0 |
| 6 ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 |
| 7 მერანი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 8 კოლხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 |
| 9 სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 10 ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 11 იბერია | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 12 თსუ | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | -7 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 4 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| 3 - იონანიძე | ტორპედო |
| 2 - ძიტეიშვილი | გორდა |
| დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| ა. მუჯირი | ბათუმი |
| აფხაზავა | ბათუმი |
| ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| რუსია | ლოკომოტივი |
| დავითაშვილი | ლოკომოტივი |
| იმედაძე | ტორპედო |

# კიუელი მაგიდაზე

ამ უქმეებზე „ლიდსის“ ავსტრალიელ ჰარი კიუელს არც სათამაშოდ ეცლება და არც გასართობად. მას საოპერაციო მაგიდაზე მოუწევს დაწოლა, რადგან დაზიანებულ აქილევსის მყესზე სასწრაფოდ ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს.

21 წლის ფეხბურთელი, რომელმაც წინა სეზონში 17 გოლით ისახელა თავი, კლუბის გარდა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მშობლიურ ნაკრებსაც გამოაკლდება. მის სრულ გამოჯანმრთელებას სავარაუდოდ სამი თვე დასჭირდება.

„ლიდსის“ მწვრთნელი დევიდ ოლირი შეწუხებულია. ავსტრალიის ნაკრების ამბავი მას ნაკლებად ადარდებს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში კიუელის შემცვლელის პოვნა თავსატეხად გასჩენია.

## შოტლანდია

### ლიგის თასი

მეოთხედფინალის წილისყრა

კილმარნოკი — ჰიბერნიანი; გლაზგო რეინჯერსი — დანდი იუნაიტედი; სენტ მირენი — დანფერმლაინი; ჰართსი — სელტიკი

მატჩები გაიმართება 31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს

## იტალია

### თასის მერვედფინალის წილისყრა

სამპდორია — ლაციო; ტორინო — მილანი; ვენეცია — პარმა; ინტერი — ლეჩე; სალერნიტანა — ფიორენტინა; ატალანტა — რომა; პიაჩენცა — უდინეზე; ბრეშა — იუვენტუსი

მატჩები გაიმართება 17 და 24 სექტემბერს

## უკრაინა

მე-9 ტური: დნიპრო — შახტარი 1:4; დინამო — სტალი 2:0

## რუსეთი

### თასის III წრე

ნოსტა 1:4 სპარტაკი

## არჩევნებმა ფეხბურთი გადმოწია

ორიოდ დღის წინ ვწერდით, რომ „ლესტერი“ უეფას თასის პირველ ეტაპზე „ცრვენა ზვეზდასთან“ ბელგრადში თამაშს უარობდა. უეფას წარმომადგენელთან შეხვედრისას ინგლისური კლუბის თავმჯდომარემ 28 სექტემბერს დანიშნული მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარება ითხოვა, რაც იუგოსლავიაში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარებით ახსნა. თამაშამდე ოთხი დღით ადრე იქ საპრეზიდენტო არჩევნებია და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის მოქალაქეებს იუგოსლავიაში გამგზავრება არ ურჩია — ვაითუ, პოლიტიკური აქტივობის დღეებში სერბებმა გაიხსენონ, როგორ ბომბავდა მათ ქვეყანას ნატოს ავიაცია და ჩვენები რაიმე ხიფათს არ შეეყარნონო. შეგახსენებთ, ინგლისი ნატოს წევრი ქვეყანაა.

უეფამ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა და „ცრვენა ზვეზდას“ მხარე დაიჭირა. სერბები ამბობდნენ, ან ბელგრადში ვითამაშებთ, ან არსადო.

უეფასეული გადაწყვეტილება ასეთია: „ცრვენა ზვეზდა“ — „ლესტერის“ საპასუხო მატჩი ბელგრადში ჩატარდება. ხოლო რაკი ინგლისელებს ბალკანური არჩევნებისა ეშინიათ, თამაში ერთი კვირით გადმოწიეს და შეხვედრის დღედ 28-ის ნაცვლად 21 სექტემბერი დათქვეს.

## ამხანაგური მატჩი

**მილანი 2:2 (პენ. 2:3) რომა**

0:1 მონტელა (4), 1:1, 2:1 შევჩენკო (8, 35პ), 2:2 მონტელა (65პ)

მილანი: დიდა, შამოტი, კოსტაკურტა (ბრნჩიჩი 46), სალა, ჰელვეგი, დე აშენტისი, ჯუნტი, სერჯინიო (კოკო 46), შევჩენკო, ბირჰოფი (კოლოჩინი 65), საუდატი (ბობანი 46)

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

რომა: ანტონიოლი, რინალდი (ძებინა 46), ალდაირი (სამუელი 73), მანგონე, კაფუ, ტომაზი (გიუგო 68), მარკოს ასუნსაო, კანდელა, მონტელა, ტოტი (დი ფრანჩესკო 51), დელვეკიო (ბალბო 71)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: შამოტი, სალა, ტომაზი

გაძევება: შამოტი (64)

18 507 მაყურებელი

ნათქვამია, გუნდი როცა აგებს, მწვრთნელი მაშინ უკეთ დაინახავს არსებულ ნაკლოვანებებსო. ვერ გეტყვით, ალბერტო ძაკერონი ოთხ დღეში რას მოიმოქმედებს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ „მილანმა“ ზედიზედ მესამე ამხანაგური მატჩი ვერ მოიგო. მართალია, „რომასთან“ გუშინწინ საღამოს ძირითად დროში არც წაუგია, მაგრამ... მანამდე ლუიჯი ბერლუსკონის თასზე ასევე პენალტებით დამარცხდა „იუვენტუსთან“. ამას ოთხი დღის მერე ბერგამოში, „ატალანტასთან“ 0:2 მოჰყვა, თუმცა ძაკერონიმ სათადარიგო გუნდი ათამაშა და ძირითადის 15 ფეხბურთელი არ იახლა.

ახლაც ასე იყო. უფრო სწორად კი ვიტყვი, რომ როგორც ძაკერონიმ, ასევე ფაბიო კაპელომ რამდენიმე ფეხბურთელი მოისაკლისეს. „რომას“ ასეთი ორი ჰყავდა — მთავარი დამრტყმელი ძალა, არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა და ლევერკუზენის „ბაიერიდან“ გადმობარგებული ბრაზილიელი ემერსონი — ისინი ტრავმებს იშუშებენ. რაც შეეხება „მილანს“: აბიატი, ამბროზინი, მალდინი, გატუზო, რედონდო, ლეონარდო, გული, ალბერტინი, ხოსე მარი... ცოტაა? სამაგიეროდ, იყო შევჩენკო, რომელმაც კვლავაც ორი გოლი გაიტანა. უკრაინელი, როგორც ჩანს, მართლაც შესაშურ ფორმაშია. თამაში არ გავა, დუბლი არ გააზერხოს, ერთ ბურთზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

გუშინწინ ვინჩენცო მონტელამ ჯერ დააწინაურა სტუმრები, მერე კი 65-ე წუთზე პენალტით გაათანაბრა, მანამდე, წუთით ადრე კი, არბიტრ როსეტის თავისივე წაქცევისთვის მცველი ხოსე ანტონიო შამოტი მინდვრიდან გააგდებინა. შევჩენკომ ამათ შუა გაიტანა. მერე კი იყო პენალტები, რომლებიც ორივე გუნდის ფეხბურთელებმა ძალიან ცუდად დაარტყეს, თუმცა მეკარეებსაც ნუ დავუკარგავთ ნაღვაწს. რომაელმა ანტონიოლიმ 3 (!) პენალტი მოიგერია, მილანელთა ბრაზილიელმა გოლკიპერმა დიდამ კი — ორი. „რომამაც“ გაიმარჯვა.

მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციაზე ალბერტო ძაკერონიმ და ფაბიო კაპელომ ძირითადად თავ-თავიანთ გუნდებზე ილაპარაკეს.

ძაკერონი: მართალია, შეხვედრა ამხანაგური იყო, მაგრამ შევეცდებით, მოუგებელი სერია „ბეშიქთაშთან“ შევწყვიტოთ — ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული დებიუტი კარგი საქმის დასაწყისია. სერია A 1 ოქტომბერს იწყება და ამდენი ამხანაგური მატჩიც ამიტომ გავმართეთ, რათა „ბეშიქთაშს“ შეთამაშებულნი დავხვდეთ.

13 სექტემბერს „სან სიროზე“, ჩემპიონთა ლიგის H ჯგუფის პირველ ტურში „მილანი“ თურქულ „ბეშიქთაშს“ უმასპინძლებს, რომელსაც იტალიელი ნევიო სკალა წვრთნის.

რა იგულისხმა ძაკერონიმ კარგ საქმეში, დანამდვილებით ვერ გეტყვით. ალბათ ის, რომ „მილანს“ ჯგუფში თურქთა გარდა „ბარსელონა“ და „ლიდსი“ ჰყავს და მიუხედავად ურთულესი ჯგუფისა, მაინც წარმატებაზე ფიქრობს.

კაპელო: კიდევ ერთხელ მომეცა მშობლიურ ქალაქში ჩამოსვლის საშუალება. ბედნიერი ვარ და ხალხმაც თბილად მიმიღო.

კაპელო ძაკერონისაც დაესესხა — მართალია, ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა, ჩვენ უეფას თასის მატჩისთვისაც ვემზადებით და... ჩემპიონობისთვისო.

დიახ, „რომას“ პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ ნამატჩევს კაპელოს კატეგორიულად მოსთხოვა, წლეულს „სკუდეტო“, იტალიის და უეფას თასები უნდა მოვიპოვოთო.

**გიორგი მუზაძიძე**

# ცხელი სექტემბერი უციკლეროდ



ალექსანდრ ციკლერი: ნახვამდის ორი კვირით

ეფენბერგი, იერემისი, ელბერი, პაულო სერჟიო, შტრუნცი, ლიზარაზუ, ციკლერი... ვინღა დარჩა?

მიუნხენის „ბაიერნი“ შავ დღეშია. მართალია, გერმანულმა სუპერკლუბმა ოთხშაბათს ბუნდესლიგის მესამე ტურში „ვოლფსბურგი“ დაამარცხა და ჩემპიონატს ლიდერობს, მაგრამ...

„ვოლფსბურგთან“ მატჩის მე-60 წუთი მიმდინარეობდა, როცა მიუნხენელთა თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა ცვლილება მოახდინა — როკე სანტა კრუზი ალექსანდრ ციკლერით შეცვალა. გავიდა შვიდი წუთი და... ციკლერის ნაცვლად მინდორზე ვილი სანიოლი შევიდა. ციკლერი დაშავდა. ექიმთა დიაგნოზით, „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელს ფეხზე კუნთი დაეჭიმა და მინიმუმ ორი კვირა ვერ ითამაშებს.

შტეფან ეფენბერგი, იენს იერემისი, ჯოვანი ელბერი, პაულო სერჟიო, თომას შტრუნცი, ბიქსენტ ლიზარაზუ, ახლა ალექსანდრ ციკლერი — აი, „ბაიერნის“ ის ფეხბურთელები, რომლებსაც გარს ექიმები ახვევიან და ტრავმებს მკურნალობენ. ამ გვარებს თუ ყურადღებით წაიკითხავთ, ნახავთ, რომ შვიდივე მათგანი მიუნხენური კლუბის ძირითადი შემადგენლობის წევრია. მიუხედავად ასეთი სოლიდური დანაკლისისა, „ბაიერნმა“ ჩემპიონატი ჩვეულად დაიწყო, პირველი სამი მატჩი მოიგო, მაგრამ საკითხავია, შეძლებს თუ არა იგივე ტემპის შენარჩუნებას მომავალ მატჩებში.

„ცხელი სექტემბერი გვიდგას. რვა მატჩი გველის 25 დღეში. ფაქტია, შემადგენლობის ხშირი ცვლაა საჭირო, მაგრამ მცირე არჩევანი გვაქვს“ — დარდობს ოტმარ ჰიცფელდი.

დღეს „ბაიერნი“ „შტუტგარტს“ სტუმრობს, სამშაბათიდან კი ჩემპიონთა ლიგა ხურდება. უქმეებზე ჩემპიონატი, შუა კვირაში ევროტურნირები — აი, მიზეზი, რის გამოც ევროპული კლუბები თითქმის ორ შემადგენლობას ქმნიან. იციან, მოთამაშენი ხშირად რომ უნდა ცვალონ. ჰიცფელდი კი ლამის გამოუვალ მდგომარეობაშია. „ბაიერნს“ განსაკუთრებით შეტევის ხაზში უჭირს. მწვრთნელს თავდასხმაში კარსტენ იანკერისა და პარაგვაელი როკე სანტა კრუზის დაყენება მოუწევს, მათ გარდა კი რეზერვში კიდევ ორი, ოღონდ ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელი ჰყავს — ანტონიო დი სალვო და ბერქანთ გიოქთანი.

ციკლერს დავუბრუნდეთ. აღსანიშნავია, რომ მიუნხენელი შარშანდელ სეზონში სამჯერ შეაწუხა ამ ტრავმამ, რის გამოც საბოლოო ჯამში ლამის ნახევარი სეზონი გაუცდა. „ეს რა უბედურება მჭირს, სეზონი ჯერ არ დაწყებულა და უკვე დაშავებული ვარ. არ ვიცი, რა მოვუხერხო თავს“ — ჩივის ციკლერი.

კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ეს ფეხბურთელი ორ კვირაში დაბრუნდება. ამ დროისთვის უკვე გამოჯანმრთელებული იქნება ჯოვანი ელბერი, რომელმაც ორი თვის წინ ფეხი მოიტეხა. ბრაზილიელი ვარჯიშს კი შეუდგა, მაგრამ ფორმაში როდის შევა, საკითხავია. იენს იერემისსა და გუნდის უდავო ლიდერ შტეფან ეფენბერგს ტრავმების მოსაშუშებლად კიდევ რამდენიმე კვირა სჭირდებათ. პაულო სერჟიო და თომას შტრუნციც ამ დღეში არიან.

„ნამდვილად რთულ მდგომარეობაში ვართ, თუმც მჯერა, გამოსავალს ვიპოვით. გუნდში ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვყავს, რომელთაც საჭირო მომენტში სასწაულების ჩადენაც ძალუძთ“ — მაინც იმედიანადაა განწყობილი ჰიცფელდი. მწვრთნელი სასწაულმოქმედთა შორის, უეჭველია, მეკარე ოლივერ კანსაც გულისხმობს, რომელმაც „ბაიერნი“ ოთხშაბათს „ვოლფსბურგთანაც“ არაერთხელ იხსნა.

დღეს „ბაიერნი“ „შტუტგარტს“ სტუმრობს და შურისძიებას აპირებს. მიუნხენელებს შარშანდელი „ბრიყვული“ წყენა კარგად ახსოვთ. წინა ჩემპიონატში „შტუტგარტმა“ ორჯერვე მოუგო მიუნხენელებს — შინ 2:0, სტუმრად კი 1:0.

**განო ოქრობირიძე**

# ალდაირის დარდი

## იტალიას მიჯაჭვული ბრაზილიელი

ათი წელი სერია A-ში, თან ერთსა და იმავე გუნდში, ბევრია ეს თუ ცოტა? ალბათ ბევრი, ოადგან დღეს მოთამაშეთაგან ამ ზღვრისთვის მხოლოდ ორს გადაუბიჯებია — პაოლო მალდინისა და დემეტრიო ალბერტინის. 9 სექტემბერს ათწლიან იუბილეს ალდაირიც აღნიშნავს. 1990 წლის 9 სექტემბერს 24 წლის ბრაზილიელ მცველს იტალიური დებიუტი ჰქონდა. „რომამ“ 4:0 მოუგო „ფიორენტინას“, ალდაირი კი მას მერე რომიდან არსად წასულა.

ალბაირ ნასიმენტო დუშ სანტუშმა თამაში „ფლამენგოში“ დაიწყო. ეს 1986 წელს იყო. მან რიოში ოთხი სეზონი გაატარა. მერე გადავიდა „ბენფიკაში“. სწორედ იქ თამაშისას გაეცნო ალდაირი პირველად იტალიურ ფეხბურთს — ჩემპიონთა თასის ფინალში მისმა გუნდმა „მილანთან“ 0:1 წააგო. აღსანიშნავია, რომ ლისაბონში ალდაირის მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონი იყო, შემდეგ მისებრ იტალიაში გადაბარგებული.

იმ ფინალის მერე ალდაირს იტალიელებმაც დაადგეს თვალი და ის „რომაში“ აღმოჩნდა. პირველ სეზონში ბრაზილიელი 29-ჯერ გავიდა მინდორზე, თუმცა ძირითადად შემცვლელად. მაშინ „რომაში“ კლაუდიო კანიჯა, თომას ჰესლერი და რუდი ფიოლერი თამაშობდნენ, მერე სინიშა მიხაილოვიჩიც გადავიდა. იმავე სეზონში „რომამ“ იტალიის თასი მოიგო, ჯერჯერობით თავისი ბოლო ჯილდო.

რაკი ალდაირი „რომადან“ არსად წასულა, ცხადია, იმ პირველი სეზონის მერე ისიც უტიტულოდ რჩება. არადა, ყოველი ახალი სეზონის დაწყებას იმედით ხვდება: „ათი წელია, სკუდეტოს მოგების სურვილი არ მასვენებს. ყოველი სეზონის დასრულებას კი იმედგაცრუება მოჰყვება — ისევ ვერაფერი მოვიგე. თან ბევრი დროც აღარ მაქვს, ფეხბურთს კიდევ ორი წელი თუ ვითამაშებ. ახლა „რომაში“ ბატისტუტა გადმოვიდა... არა, წლეულს აუცილებლად გავხდები ჩემპიონი. „რომა ასეთი ძლიერი მას მერე არ ყოფილა, რაც აქ ჯუზეპე ჯანინი, ბრუნო კონტე და ფალკაო ბრწყინავდნენ“.

მოუსმენ ალდაირს და შეგეცოდება. არადა, კაცი მსოფლიოს ჩემპიონია. 1994 წელს პირველ მატჩში რუსეთის წინააღმდეგ ის შეცვლაზე შევიდა, მომდევნო ექვსი თამაში კი სრულად ჩაატარა. ფინალში კი ბრაზილიამ, მოგეხსენებათ, იტალია დაამარცხა, რომლის შემადგენლობაშიც ალდაირის არც ერთი რომაელი თანაგუნდელი არ იყო.

1997 წელს ალდაირმა იტალიის მოქალაქეობა მიიღო, რაშიც მეუღლე კლაუდიას იტალიური წარმოშობა დაეხმარა. ახლა იგი ორი პასპორტის მფლობელია.

საინტერესოა, რომ ალდაირის ათწლიანი იუბილე „რომაში“ შესაძლოა არც შემდგარიყო. წინა წელს მას „ფლამენგოში“ დაბრუნება ჰქონდა განზრახული და მხოლოდ „რომას“ პრეზიდენტ ფრანკო სენსის დიდი მცდელობის მერე დარჩა.

**გიორგი დარჯანია**



ალდაირმა რომაული ათწლეული გალია

# მათი სექსი ცნობილია

## სასამართლომ 200 სიტყვა დააპატიმრა

**არის** ინგლისში ასეთი კაცი ენდრიუ მორტონი, რომლის მოყვითალო კალამს აწ გარდაცვლილი პრინცესა დაიანას ბესტსელერად ქცეული ბიოგრაფია ეკუთვნის. ეს მისტერ მორტონი ამასწინათ დამჯდარა და ლამანში იქითა საზოგადოებისთვის მეტად საინტერესო კიდევ ერთი კაცის... თუმცა უკაცრავად, ორი ადამიანის, ცოლ-ქმრის პოპ ვარსკვლავ ვიქტორია ადამსისა და ფეხბურთელ დევიდ ბექემის ამბავი ჩამოუწიკწიკებია.

წიგნს იქაურ დახლებზე ოქტომბერში დაალაგებენ და მისი გაყიდვით მილიონების მოგებას გეგმავენ. ეს მართლაც ასე მოხდება, მაგრამ საინტერესო ის გახლავთ, რომ იმავ ოქტომბერში მორტონის ნაწარმოების გვერდით საკუთრივ დევიდ ბექემის ავტობიოგრაფიაც მიიდება. მას „ჩემი სამყარო“ ერქმევა, ოღონდ ლონდონელ მეწიგნეთა წინასწარი ანალიზით, მორტონის „ბექემი“ ათასგზის აჯობებს ბექემის „ბექემს“ და სარფიც მეტი მოუვა.

თუმცა ეს ჩვენი ერთადერთი სათქმელი არ არის. კიდევ იმის თქმა გვინდოდა, რომ ბექემ-ადამსის წყვილს მაისამდე ანუ წაჩხუბებამდე ჰყავდა მავანი პირადი მცველი სახელად მარკ ნიბლეტი — ჯეჯგვი ჯეელი. ამდგარა ეს ჯეელი და ოჯახთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ მორტონთან მიცუნცულებულა, ფული მომე და დევიდ-ვიქტორიებზე ისეთებს მოგიყვები, წიგნი სულ შხუილ-შხუილით გაგეყიდოსო. მორტონს ფული მიუცია და ნიბლეტის მონაყოლი ჩაუწერია, რაც ბექემს წაუკითხავს და სასამართლოში გავარდნილა.

სასამართლოში საქმე ასე წარმოჩნდა: ენდრიუ მორტონის 224-გვერდიან წიგნში დევიდ ბექემი 2500 სიტყვის ამოღებას მოითხოვს.

თემიდამ საჩივარი დაწვრილებით განიხილა და დაადგინა — ამოსაღებია მხოლოდ 200.

არ გაჭრა ფეხბურთისა და პოპის ვარსკვლავთა სიტყვამ, ბოდიგარდს უფლება არ ჰქონდა ჩვენი საიდუმლო ქვეყნისთვის მოედოო.




ენდრიუ მორტონი თავის ნაშრომით

ალბათ გაგიჩნდათ ბუნებრივი შეკითხვა: რა მოუთხრო ასეთი ნიბლეტმა მორტონს? ალბათ, რაღაც სექსის თაობაზე. მაგრამ ნუ იჩქარებთ, სექსი ისეთი რამაა, რაზეც ბექემსა და ვიქტორიას სხვების ჭვრიტინის გარეშე, თავადაც შეუძლიათ გულღიად მოყოლა. მათი აღშფოთების მიზეზი ბიზნესის ამბების გამოაშკარავება გახლდათ...

...ბექემ-ადამსებმა სასამართლო პროცესი წააგეს, ოღონდ ძალიან არ განუცდიათ. ამ ამბიდან ორ დღეში დევიდი ლონდონის ცენტრში ერთ-ერთ ღამის კლუბში მივიდა მეუღლითურთ, სადაც თავიდან კარგად მოულხინა, ხოლო შემდეგ, როდესაც კლუბის მენეჯერმა დი-ჯეიობა სთხოვა, უარი არ უთქვამს და თავის გარშემო წიწინა გოგოების გვარიანი ჯარიც შემოიკრიბა.



ა-ლა-ლა-ლა, დიდი ვერაფერი სიყვარული იყო

# მარკ, შე ბიჭო!

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** მეკარის, მარკ ბოსნიჩის ფეხმძიმე მეუღლე ბედნიერი ქორწილიდან 14 თვის შემდეგ ქმარს ეყრება.

დიახ, მოდელი სარა ჯარერტი დღეს აცხადებს, რომ ბოსნიჩთან ცხოვრება აღარ შეუძლია. მისი თქმით, ფაბიენ ბარტეზის მიერ მანჩესტერელთა ძელთა შუიდან გამოძევებული სერბული წარმოშობის ავსტრალიელი გაუწონასწორებელი ქცევის კაცია და იმედოვნებს, რომ ექვს კვირაში ხელში მისგან თავისუფლების ქაღალდს დაიჭერს.

შეყრა-გაყრა-ჭორაობაზე კალამალესილმა პრესამ წვრილმანების გამოსაკითხავად მყისვე გადაურეკა კვირაში 40 ათას გირვანქიან ბოსნიჩს თავის 600 ათასად ღირებულჩეშირულ პენტჰაუსში და ყასიდად, სარას სთხოვეთო, უთხრა, რაზეც მეკარემ უპასუხა: — სარა შინ არ არის, დასასვენებლად წავიდა.

არადა, 29 წლის სარა დედ-მამასთან პლიმუთში იყო გაქცეული. ყვითელსულიანმა ჟურნალისტებმა იქ მიაგნეს და, როგორც შემდგომ დაწერეს, ლურჯი MG sports-იდან გადმოსვლისას კომენტარი სთხოვეს, რაზეც მოდელმა უარი მიუგო.

სამაგიეროდ, ბოსნიჩის სიდედრმა გაუღო რეპორტიორებს კარი. სხვათა შორის, ეს კარი 200-ათასიანი ბუნგალოსი გახლავთ, ხოლო სიდედრს, თუ გაინტერესებთ, დაიანა ჰქვია.

— შიგადაშიგ სარა თავს შეუძლოდ გრძნობს. ვშიშობ, დღეს მასსა და მარკს შორის საქმე კარგად ვერ მიდის. არა მგონია, მათ ურთიერთობებში მესამე ადამიანი იყოს ჩარეული, მაგრამ ერთმანეთში კარგად რომ ველარ არიან, ფაქტია. ვგონებ, დიდი როლი მარკის გუნდში დაქვეითებამ ითამაშა — თქვა სარას დედა დაიანამ.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სარა ჯარეტი ფეხმძიმედაა. ამბობენ, მეოთხე თვეშიაო, რაც სასამართლოში საქმეს თავის დაღს დაასვამს.

„ეს გაყრის პროცესი მარკ ბოსნიჩს დიდძალი თანხა დაუჯდება. გარდა ამისა, მას ბავშვის რჩენა 18 წლამდე მოუხდება“ — განაცხადა მავანმა ექსპერტმა.

ბოსნიჩმა, რომელიც ინგლისელ ქალზე პირველად 6 წლის წინ დაქორწინდა (როგორც ამბობენ, მოქალაქეობის მისაღებად), სარასთან ერთი წლის წინ, ივნისში მოაწერა ხელი. იმხანად ცნობილი ამბავი გახლდათ, რომ ქორწინებამდე რამდენიმე საათით ადრე ღამის ნამთვრალევმა და დისკოთეკაზე ნახტუნავებმა პოლიციაში ამოჰყო თავი, მაგრამ არაფერი მიუსაჯეს.

მანამდე, 1998 წლის აგვისტოში, როდესაც იგი „ასტონ ვილაში“ თამაშობდა, თანაგუნდელ (ისინი დღეს „მანჩესტერ იუნაიტედში“ კვლავ ერთად არიან) დუაიტ იორკთან ერთად ოთხ ქალთან ორგიაში ამხილეს.

ორი კვირის წინ მარკ ბოსნიჩის 60 ათას გირვანქიან BMW-ს გზაზე მანქანა შეასკდა...

**ბაჩუნა ძიძია**

„55-ე სკოლა“

გთავაზობთ გახანგრძლივებულ კლასგარეშე მომსახურებას I, II, III და IV კლასებისთვის.
სათანადო დარგის კვალიფიციური პედაგოგები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა ბავშვები დაახლოვონ ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის საფუძვლებს; სურვილის მიხედვით ამეცადინონ ინგლისურ და/ან რუსულ ენებში, დაეხმარონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დავალებების დაძლევაში.
პატარები ისწავლიან ხელოვნების ისტორიის საწყის კურსს ლეგენდების თუ მითოლოგიის სახით. შესაძლებელია ანიმაციური ფილმის სპეციფიკის შესწავლა დაწყებით ეტაპზე.
მსურველებს მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სატელევიზიო საბავშვო გადაცემაში „ჩიპო“
ცნობებისათვის დარეკეთ: 99 79 03 ლელა ჭავჭანიძე

# თამაშს იგებენ... ცხვრები

**რუსეთა** პირველ დივიზიონში თამაშობს ლიპეცკის „მეტალურგი“. დიდი არაფერი გუნდია, ქვემოთ, გასავარდნთა ზონაში იმყოფება. კლუბის შეწუხებულმა ხელმძღვანელობამ უხეირო თამაშის მიზეზების ძიებას მიჰყო ხელი და სწრაფადვე აღმოაჩინა — მწვრთნელიც კარგი გვყავს და ფეხბურთელებიც, აი, ცოტა ღვთის წყალობაც თუ გვექნებაო...

ორი შემთხვევა გვახსენდება. წინა სეზონის სტარტზე თბილისის „დინამომ“ ზედიზედ ორი თამაში წააგო და გუნდის მაშინდელმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ დიღმის ბაზაზე ცხვარი დაკლა, ღმერთი შეგვეწევაო. ღმერთისა რა გითხრათ და მომდევნო ტურში დინამოელებს მსაჯი ნამდვილად დაეხმარა — „თბილისის“ კარში ბოლო წუთებზე არარსებული პენალტი დანიშნა.

მეორე შემთხვევა კი ნალჩიკში მოხდა. იქაურ „სპარტაკში“ მოთამაშე ვასილ სეფაშვილმა შავი ცხვარი დაკლა, მერე მოედანზე გავიდა და გოლიც გაიტანა.

ახლა ისევ ლიპეცკელებს მივუბრუნდეთ. მათ ცხვარი არ შეუწირავთ. არა, შესაძლებლობა კი აქვთ, მაგრამ — მოუნათლავი ხალხის მიერ ჩატარებულ ამ რიტუალს ფასი არ ექნებაო — ალბათ, ასე იფიქრეს. ლიპეცკელ ფეხბურთელთა უმრავლესობა კი სწორედ რომ მოუნათლავია. ბოდიში, მოუნათლავი იყო, რადგან ამ რამდენიმე დღის წინ ახლომდებარე ტბის გაყინულ წყალში ნამდვილ ქრისტიანებად ქცეულან. შედეგი? ჩინებული! სანქტ პეტერბურგის „ლოკომოტივს“ (ყველაზე წყალწაღებული გუნდია) უმასპინძლეს და 6:1 მოუგეს.

მომდევნო ტურისთვის, ალბათ, ცხვარსაც დაკლავენ.

## სატირბოროტე კითხვა-პასუხი

***— დღეს ესპანეთის ჩემპიონატი იწყება.***

— ეს რა მითხარი...

***— დღეს ესპანეთის ჩემპიონატი იწყება.***

— რას მეუბნები...

***— დამცინი?***

— შენ რატომ დაგცინი?

***— აბა, ესპანეთის ჩემპიონატს?***

— აჰ, რას ამბობ...

***— რა სჭირს ესპანეთის ჩემპიონატს შენი დასაცინი?***

— კაცო, თავი დამანებე. რას გადამეკიდე?

***— რას გადაგეკიდე. გითხარი, ესპანეთის ჩემპიონატი იწყება-მეთქი.***

— ინგლისის ჩემპიონატი რომ დაიწყო, მაშინ ხმა არ ამოგიღია და ახლა რამ გადაგრია?..

***— ვააჰ... შარი საიდან მოდიხარო.***

— შენ ხომ არ გგონია, რომ ესპანეთში უკეთ თამაშობენ ფეხბურთს, ვიდრე ინგლისში?

***— ამას ვის გადაეკიდე?***

— თუ შენ გგონია, რომ მადრიდის „რეალი“ გუნდია?

***— ამას კი აღარ გაპატიებ. აბა ვინ არის გუნდი, „ევერტონი“?***

— ჰმ... „ვალენსია“ კი ჯობია და...

***— ვინ ჯობია „ვალენსიას“?***

— ფრენსის ჯეფერსი ჯობია მაგათ. იმას, რა ქვია?.. აი, გვარი აღარც მაგონდება.

***— ვის, ვის?***

— ანგულოს.

***— ანგულოს? კლაუდიო ლოპესს ვინ ჯობია?***

— კლაუდიო ლოპესი „ვალენსიაში“ არ თამაშობს.

***— ხომ თამაშობდა?***

— ეგრე „ლაციოში“ მთელი მსოფლიო თამაშობს და „ლაციო“ რა გუნდია?

***— „ლაციო“ რა გუნდია?***

— ხო, „ლაციო“ რა გუნდია?

***— „ლაციო“ იტალიის ჩემპიონია.***

— ვიცი ეგეთი ჩემპიონები. პერუჯაში წვიმა მოვიდა და „ლაციო“ ჩემპიონი გახდა.

***— ვერონი გინახავს?***

— ვერონიც მინახავს და უარესებიც.

***— და გაზა?***

— გაზამ რაო?

***— გაზაც ხომ გინახავს?***

— მერე?

***— მერ სად ვერონი და სად გაზა?***

— კი, გაზაც „ევერტონშია.“

***— და ვერონს მიდარებ?***

— ეეჰ. ვერონის ხნისას გაზას მოთავებული ჰქონდა.

# პრიმერადივიზიონი 2000-2001

ოთხგვერდიანი საგანგებო ჩანართი

შეინახეთ, გამოგადგებათ

ჩანართს წარმოგიდგენთ სარბიელის ესპანური ფეხბურთის მიმომხილველი









გიორგი დარჯანია

## პროგნოზები, ინტერვიუები, კალენდარი, ყველა ტრანსფერი და განაცხადი

*ოქტომბრის მეოთხე კვირას „ბარსელონა“ „რეალს“ და ფიგუს უმასპინძლებს. თუნდაც ამ თამაშის გამო ღირს პრიმერადივიზიონისთვის თვალყურის დევნება. თუმცა ეს მეექვსე ტურის მატჩია, იქამდე კი, პირველივე ტურში „რეალი“ — „ვალენსიაა“, ჩემპიონთა ლიგის ფინალის გახსენება. ან საინტერესო არ იქნება, როგორც დაიცავს ტიტულს „დეპორტივო“? გამოჩნდება თუ არა ახალი „ალავესი“, ფავორიტებს საჩემპიონო ქულებს რომ დააკარგვინებს? იქნებ სულაც „ატლეტიკოს“ დარ სახელოვან გუნდს მოუწიოს გავარდნა? იქნებ ისეთი ბოლო ტურიც ვიხილოთ, წინა სეზონში რომ იყო — ბოლო წუთამდე სამი გუნდი ინარჩუნებდა ჩემპიონობის შანსს. მოკლედ, ბევრი რამ უცნაურად თუ მოგეჩვენათ, ნუ გაიკვირვებთ, ყველაფერი ხდება...*

### პირველი პირველად

ჩემპიონის ტიტულისთვის რამდენიმე გუნდი იბრძოლებს. მოქმედი ჩემპიონი კი „დეპორტივოა“ — გუნდი, რომელიც 96-წლიანი არსებობის მანძილზე უმაღლეს საფეხურს პირველად შესწვდა.

ჩემპიონობა ძნელია, მისი შენარჩუნება — ორმაგად. მით უმეტეს, რომ გალისიელებს მრისხანე მეტოქეები, „რეალი“ და „ბარსელონა“ ჰყავთ. მათ გარდა „დეპორტივოს“ სხვა ბარიერებიც ექნება გადასალახი, თუნდაც „ვალენსია.“

ცხადია, ამ ზაფხულს ლა-კორუნიელები გულხელდაკრეფილნი არ მსხდარან. „სუპერდეპორი“, როგორც გუნდს იქ უწოდებენ, გაძლიერდა. საინტერესოა, რომ გაძლიერება უპირველესად სეგუნდა დივიზიონში დაქვეითებული „ატლეტიკოს“ ხარჯზე მოხდა — ხოსე ფრანსისკო მოლინა, ხუან კარლოს ვალერონი და ხუან კაპდევილა უკვე დეპორტივოელები არიან.

„დეპორტივომ“ ჩემპიონობას ახლახან ქვეყნის სუპერთასიც მიამატა, მაგრამ სად ორმატჩიანი პაექრობა და სად მომქანცველი ცხრათვიანი მარათონი თავისი 38 თამაშით. ამასთანავე, წინა სეზონში ლა-კორუნიელებს ჩემპიონთა ლიგა არ ეწვათ მხრებზე, მაშინ, როცა იგივე „რეალი“, „ბარსელონა“ და „ვალენსია“ ორად იყვნენ გახლეჩილნი — აქეთ ესპანეთი, იქეთ ევროპა. ახლა ლიგა „დეპორტივოსაც“ ელის. გაუძლებს? ის ხომ ესპანეთში ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი გუნდია. იქ რვა 30 წელს გადაცილებული ფეხბურთელია, გაესპანელებული ბრაზილიელი დონატო კი მალე ორმოცისა გახდება. ყველაფერ ამას ფლავიო კონსეისაოს „რეალში“ გადაბარგება დავუმატოთ და ნათელი გახდება, რომ „დეპორტივოს“ ტიტულის შენარჩუნება ფრიად გაუჭირდება.

მიუხედავად ამისა, კლუბის პრეზიდენტი აუგუსტო ლენდოირო ამბობს, ხავიერ ირურეტასა და ფეხბურთელებში დარწმუნებული ვარ, ვიცი, არავის ათქმევინებენ, „დეპორტივო“ შემთხვევით გახდა ჩემპიონიო. თუმცა აუგუსტო ლენდოიროს ისიც უთქვამს, სხვათა შეცდომებიდან სწორ დასკვნებს გამოვიტანთო. პრეზიდენტი სხვაში მადრიდის „ატლეტიკოს“ თუ გულისხმობს, ოთხი წლის წინ ჩემპიონატი და სამეფო თასი რომ მოიგო, ახლა კი სადაცაა, თავად მოგეხსენებათ.

### სამეფო კლუბის ვალები და ავანსები

ჩემპიონი გინდ „დეპორტივო“ გახდეს და გინდ ვინმე სხვა, ესპანეთში უპირველეს ფავორიტებად მუდამ „რეალი“ და „ბარსელონა“ ითვლებიან.

„სამეფო კლუბში“ ხელისუფლება შეიცვალა, ლორენსო სანსის სავარძელში ფლორენტინო პერესი მოკალათდა და წინასაარჩევნო დაპირებაც უმალ შეასრულა: ლუიშ ფიგუ მადრიდში გადაიყვანა. სენიორ პერესს ფული არ დაუზოგავს — „ბარსელონა“ 56 მილიონი დოლარით გაამდიდრა.

ახალ პრეზიდენტს ძუნწობას ვერ დასწამებ, მით უმეტეს, რომ მან ადრევე იცოდა „რეალის“ ზღაპრული ვალების შესახებ, თუმც კლუბის ბუღალტრული ანგარიშების პირადად ნახვის შემდეგ ამ გამობრძმედილ კაცს ლამის ენა მუცელში ჩაუვარდა — 250 მილიონი თუ დაახლოებით ამდენი მისი გასასტუმრებელი იყო.

ყველაფრის მიუხედავად, „რეალი“ მაინც „რეალია“ და ჩემპიონობისთვის ბრძოლაზე უარს არ იტყვის. გავიხსენოთ, რომ ფიგუს გარდა მადრიდელებმა „ვალიადოლიდიდან“ ნაკრების მეკარე სესარ სანჩესი, ასევე ნაკრების წევრი პედრო მუნიტისი (რასინგი) და „სელტას“ ფრანგი კლოდ მაკელელე გადაიყვანეს. ფლავიოზე ზემოთაც ვთქვით.

გაძლიერებასთან ერთად სხვაც მოხდა. კლუბიდან წავიდნენ ანელკა და კარამბუ. რაოდენ სათაკილოც არ უნდა იყოს, კარამბუ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი ფეხბურთელია — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი, მაგრამ კლუბშიც და ნაკრებშიც სანთლით იყო საძებნელი. ამიტომაც „რეალიდან“ მის წასვლას გული არავისთვის დაუწყვეტია. სხვა საქმეა ფერნანდო რედონდო. მისი „მილანში“ გაყიდვის ცნობა ქომაგების დიდი მღელვარების საბაბად იქცა. მოეწყო დემონსტრაციაც, ჩაილეწა „რეალის“ ოფისის ფანჯრები, კლუბის წარმომადგენელს მავანი აღშფოთებულის მიერ ნასროლმა ქვამ თავიც გაუტეხა. რედონდო კი მაინც გაიყიდა. ნახევარდაცვაში ფიგუ, ფლავიო, მაკელელე და სავიო გვყავს, რედონდო რაღად გვინდაო, უთქვამს ხელმძღვანელობას. უნდოდათ თუ არა, ეს მალე გამოჩნდება. ჩემოდანზე ზის სტივ მაკმანამანიც. მართალია, ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ ის გუნდში დატოვეს, მაგრამ მისი გაყიდვის ამბავს თუ გაიგებთ, ნუ გაიკვირვებთ.

### აიაქსი ესპანეთიდან მიდის

ხელისუფლება „ბარსელონაშიც“ შეიცვალა. გადადგნენ კლუბის პრეზიდენტი ხოსეპ ლუის ნუნიესი და მწვრთნელი ლუის ვან გაალი. ნუნიესის წასვლა ნებაყოფლობითი იყო — დავიღალე, 22 წელია, „ბარსაში“ ვარო. ვან გაალმა კი ჩაყოლას ჩათრევა ამჯობინა: წინა სეზონის ბოლოს ცხადი გახდა, ჰოლანდიელ სპეციალისტს ხელის მოცარვას არ აპატიებდნენ.

ვან გაალის წასვლის შემდეგ „ბარსელონას“ აიაქსელებიც სხვა მხარეს იყურებიან. უინსტონ ბოგარდმა და რონალდ დე ბურმა კატალონია უკვე დატოვეს. იარი ლიტმანენი, ფრანკ დე ბური და ბუდევინ ზენდენი თავიანთ ჯერს ელოდებიან. საინტერესოა, რომ ლიტმანენს, რომლის ხელფასიც ბოლო დრომდე ფიგუსა და რივალდოს გასამრჯელოზე მეტი იყო, კლუბთან ჯამაგირის კიდევ უფრო გაზრდაზე ჩამოუგდია სიტყვა და უარს დიდად გაუნაწყენებია. ამბობენ, ფინელს თურქული „ბეშიქთაში“ ეპატიჟებაო. გუნდში არც ვან გაალის თანამემამულე რუუდ ჰესპის ადგილი მოიძებნა. მისი მოყვანილი ფრედერიკ დეუც გაყიდეს.

გავიხსენოთ, რომ „ბარსას“ პრეზიდენტი ხუან გასპარი ჯერ კიდევ ვიცე-პრეზიდენტობის დროს ამბობდა: ვან გაალმა გუნდი ჰოლანდიელებით და ყოფილი აიაქსელებით გაავსო, რასაც შევებრძოლებიო. როგორც ზემოთ ვთქვით, იგი სიტყვას ასრულებს, თუმცა ერთი ჰოლანდიელის ყიდვის ცდუნებას თავადაც ვერ გაუძლო — „არსენალიდან“ მარკ ოვერმარსი გადმობირა და იმავე გუნდს ემანუელ პეტიც წაჰგვარა.

გუნდში დაბრუნდა „პატარა ბუდა“ — ივან დე ლა პენია, რომელმაც რომის „ლაციოსა“ და მარსელის „ოლიმპიკის“ მოვლა მოასწრო.

„ბარსელონაზე“ საუბრისას ლუიშ ფიგუს ხსენებას მოვერიდოთ, თუნდაც იმიტომ, რომ მასზე ისედაც უამრავი რამ ითქვა. ასევე იქცევიან კატალონიელებიც: „ბარსას“ ფან-კლუბში პორტუგალიელის სახელის ხსენება საერთოდ აიკრძალა.

მოკლედ, ფიგუ წავიდა, „ბარსელონაში“ კი ვარსკვლავი სხვაც ბევრი დარჩა. თუნდაც რივალდო. ამ სეზონში უკეთ გავირჯებიო, ჰპირდება ბრაზილიელი ქომაგებს, რადგანაც ახალი მწვრთნელი სერა ფერერი ფეხბურთელის ნებას დაჰყოლია და იმ პოზიციაზე უპირებს გამწესებას, სადაც რივალდოს ყველაზე მეტად გამოსდის თამაში.

### სადაც დეპორტივოა...

ვალენსიელები მსჯელობენ: სადაც „დეპორტივო“ ჩემპიონი გახდა, ჩვენმა გუნდმა იგივე რატომ ვერ უნდა შეძლოსო. ასეა, ბობოლათა ჭიდილში ლა-კორუნიელებმა იმარჯვეს და სხვებსაც მადა აღეძრათ. მაგალითს დიდი ძალა ჰქონია.

„ვალენსიაში“ მუშაობს ექტორ რაულ კუპერი, ევროთასების ფინალებში გასვლის აღიარებული სპეციალისტი. შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ არგენტინელმა მწვრთნელმა უსახელო „მალიორკა“ თასების თასის ფინალში ათამაშა.

ამ ზაფხულს კუპერმა კლაუდიო ლოპესი და ხერარდი გაყიდა, მათში აღებული ფულით კი ზლატკო ზაჰოვიჩი, დიდიე დეშამპი და იონ კარეუ მიიწვია. ჰო, კარეუს გახსენებაზე — ყოფილ რუსენბორგელს წინა ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე ფეხის ერთი მოქნევით „რეალის“ სულაც მეოთხედფინალის მიღმა დატოვება შეეძლო, მაგრამ სულ არაზუსტად იქნევდა.

კარეუს წესიერად ვერმოქნეულმა ფეხმა ან ეგებ „ვალენსიას“ წაგებულმა ჩემპიონთა ლიგის ფინალმა ლიგის მიღმა „სარაგოსა“ დატოვა — მეოთხე ადგილი საკმარისი არ აღმოჩნდა.

ახლა ხუან მანუელ ლილოს გუნდი უკეთესი შედეგისთვის იბრძოლებს: მესამე, მეორე, იქნებ პირველი ადგილისთვისაც. ზემოთ „დეპორტივოს“ მაგალითი ვახსენეთ და იმიტომ. ოღონდ ეგაა, აქამდე სარაგოსელებს ჰყავდათ სავო მილოშევიჩი, რომელმაც წინა სეზონში სარაგოსელთათვის ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, ევრო 2000-ზე კი პატრიკ კლუივერტთან ერთად საუკეთესო მეგოლე გახდა. დღეს სავო „პარმაშია“ და ვის იმედად არიან სარაგოსელები, მალე შევიტყობთ.

### და სხვები

წინა სეზონში „ალავესის“ კარგი თამაში გვაფიქრებინებს, რომ მსგავსი მცირე სიურპრიზის შემოთავაზებას ახლაც ვინმე ეცდება.

„სელტამ“ დუტრუელი, მაკელელე, რევივო და მაზინიო გაუშვა, თუმცა ბრაზილიელი კატანიას გადმოყვანით დივიზიონში ერთ-ერთ საუკეთესო შემტევი წყვილის შექმნას ცდილობს: კატანია-მაკკარტი.

პრიმერადივიზიონის სამ ბასკურ გუნდს მეოთხე, „ოსასუნა“ შეემატა, თუმცა კარგ შედეგს მხოლოდ ბილბაოს „ატლეტიკისგან“ ელიან.

შეიძლება გაისროლოს „მალიორკამაც.“ კუნძულელებმა არგენტინელი მეკარე კარლოს როა დაიბრუნეს. გეხსომებათ, ერთ-ერთმა რელიგიურმა სექტამ როას თავგზა აუბნია და ესაც, რა დროს ფეხბურთია, სამყაროს აღსასრული ახლოვდებაო. გადავრჩით, როა კი დაბრუნდა.

„ვალიადოლიდში“ გადავიდა მექსიკელი კუატემოკ ბლანკო. „ესპანიოლმა“ თავის დროზე „ბარსელონიდან“ გაყრილი როხერ და ოსკარ გარსიები შეიფარა. ვინღა დაგვრჩა? „მალაგა“, „ნუმანსია“, „ლას პალმასი“, ვილიარეალი“, „ოვიედო“, „რასინგი“ და „რაიო ვალეკანო“. მათგან ბევრს არავინ ელის, თუმცა ფავორიტებს იქნებ ერთი-ორი ისეთი ქულა დააკარგვინონ, ჩემპიონობის ტოლფასი გამოდგეს.




**გუნდები ისტორიული მხარეების მიხედვით**

| | |
|---|---|
| ანდალუსია მალაგა | გალისია დეპორტივო, სელტა |
| ასტურია ოვიედო | კანარის კუნძულები ლას პალმასი |
| არაგონი სარაგოსა | კანტაბრია რასინგი |
| ბალეარის კუნძულები (ძირითადად კატალონიელებით დასახლებული) მალიორკა | კასტილია ვალიადოლიდი, ნუმანსია, რაიო ვალეკანო, რეალი |
| ბასკეთი ალავესი, ატლეტიკი, რეალ სოსიედადი, ოსასუნა | კატალონია ბარსელონა, ესპანიოლი |
| | ვალენსია ვალენსია, ვილიარეალი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუდმივი დუელი რეალი VS ბარსელონა

გუნდმა გოლი გაუშვა. ამ დროს მოთამაშეები სხვადასხვაგვარად იქცევიან. ზოგი სიმშვიდეს ინარჩუნებს, ზოგი კი ბრაზდება და მეტოქეს მეტი გაафთრებით უტევს. თეორეტიკოსები ამას „ჩემპიონის ხასიათს“ უწოდებენ.

ასეთივე ხასიათი აქვს ლუიშ ფიგუს — გოლის და გამარჯვების სურვილი, შიმშილი, ამბიცია, ანუ „ჩასისხლიანებული თვალები“, როგორც ივან სამორანო ამბობს.

ფიგუ ვარსკვლავია, მაგრამ საუბრისას მორცხვობს. ზოგჯერ ინტერვიუზე შეთანხმებულ ჟურნალისტს ნახევარი საათი ალოდინებს და მერე ეუბნება: „მაპატიეთ, ჩამეძინა“. თვალებზე ეტყობა, რომ რამდენიმე წუთის წინ ადგა ლოგინიდან.

ამ ბოლო დროს ფიგუს ერთი რამ დასჩემდა: „თუ რომელიმე კითხვა არ მომეწონა, არ გიპასუხებთ; კარგი?“ აშკარად ეტყობა, რომ „ბარსელონაზე“ საუბარი არ სურს...

# ლუიშ ფიგუ: ფიგუში 56 მილიონს არ გადავიხდიდი



**— მადრიდს ალბათ უკვე შეეგუეთ. თავიდან რამეს ხომ არ გაუოცებიხართ?**

— გაოცებისა რა გითხრათ, უფრო ნასიამოვნები ვარ, ფეხბურთელებმაც და გულშემატკივრებმაც ძალიან კარგად მიმიღეს.

**— რა, არ ელოდით ასეთ შეხვედრას?**

— არა, უბრალოდ, ახალ გუნდში გადასვლისას არ იცი, რა მოხდება. გამიმართლა, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. უფრო სწორად, მადრიდელებმა ყველაფერი გაიკეთეს, რომ თავი კარგად მეგრძნო.

**— „რეალი“ როგორი გუნდია?**

— რასაც ველოდი, ის დამხვდა: კარგად ორგანიზებული დიდი კლუბი. აქ ყველაფერი პირველხარისხოვანია. წესიერად ვერ დავისვენე. დაძაბული შვებულება მქონდა, გამეტებით ვფიქრობდი.

**— „ბარსელონაზე“ საუბარი რატომ არ გსურთ?**

— გაუთავებლად ჩემს გადასვლაზე ლაპარაკობენ. რას აღარ ამბობენ. ამდენი ჭორების მოსმენა მომბეზრდა და ამ საკითხზე საუბარიც ამიტომ აღარ მინდა.

**— ძალიან ნაწყენი ჩანხართ...**

— აბა, რა იქნება. კატალონიაში პესიტეროს მეძახიან (პესიტა ესპანური ფულია). ვერაფრით დაუჯერებიათ, რომ „რეალში“ ფულის გამო არ გადავსულვარ. რაც უნდათ, თქვან, სულ რამდენიმე კაცმა იცის ჩემი იქიდან წასვლის მოტივი. ოდესმე ვიტყვი.

**— „რეალში“ უფრო დიდი ხელფასი გაქვთ, ვიდრე „ბარსელონაში“, თან 56 მილიონად შეგაფასეს...**

— ხელფასს ყველა დამსახურების მიხედვით უნდა იღებდეს, თუმცა ვიმეორებ, ამის გამო არ გადავსულვარ. რაც შეეხება 56 მილიონს, მე რა შუაში ვარ? ეს კლუბების საქმეა. გულახდილად გეტყვით, ამხელა თანხად მსოფლიოში არც ერთი ფეხბურთელი არ ღირს. მაგალითად მე, ფიგუში ამდენს არ გადავიხდიდი, მაგრამ რას მირჩევთ, მეთქვა, ჩემში ამდენის გადახდა არ გაბედოთ-მეთქი?

**— თქვენ და რაული...**

— ჩვენს დუეტზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. რაულს ბრწყინვალედ ვუგებ, ის კი მე. ერთად ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია, მაგრამ გუნდი მხოლოდ ორი ფეხბურთელი არაა.

**— გასულ სეზონში ბევრი გოლი გაიტანეთ, ახლა?**

— ცხადია, ვცდილობ, ყოველ სეზონში უკეთ და უკეთ ვითამაშო. ისე, გოლის გატანა უდიდესი სიამოვნებაა.

**— ამ სეზონში რომელიმე მაისურას თუ დაიტოვებთ სამახსოვროდ?**

— ალბათ იმას, რომელითაც „რეალში“ პირველი მატჩი გავმართე .

**— გულწრფელად თქვით, ერთი წლის წინ თუ იფიქრებდით, რომ ოდესმე რეალელი გახდებოდით?**

— ამაზე არასდროს მიფიქრია. საერთოდ მომავლის დაგეგმვა არ მიყვარს. დღევანდელი დღით ვცხოვრობ... ალბათ სწორად არ ვიქცევი.

**— ნანობთ რამეს?**

— ვცდილობ, არაფერზე ვინანო. რა აზრი აქვს? თუმცა უკან დაბრუნება რომ შემეძლოს, რაღაცეებს შევცვლიდი.



„ბარსელონას“ ახალი მწვრთნელი ჰყავს. გულუბრყვილო ადამიანი და ფეხბურთის დიდი მცოდნე — აი, ასე ახასიათებენ ლორენს სერა ფერერს კატალონიელები.

სერა ფერერი, როგორც ვთქვით, „ბარსას“ ახალი მწვრთნელია, თუმცა „ბარსაში“ ახალი კაცი არაა. იქ დიდი ხანია, მუშაობს, აქამდე ყმაწვილებს ავარჯიშებდა. აი, ჯერჯერობით სულ ესაა. ჩემპიონატი გახურდება და მის იღბალსა თუ ოსტატობაზე დანარჩენს მერე შევიტყობთ.

# ახალი ძველი კაცი

**— დიდ იმედებს ამყარებთ „ბარსაზე“?**

— რა თქმა უნდა. აქ ყველა ძალიან კარგი ფეხბურთელია, ერთმანეთს გვერდით ვუდგავართ. თითოეულ მათგანს ხომ რახანია, ვიცნობ. ბიჭებიც და კლუბიც ჩემი ცხოვრების ნაწილია.

**— რას გრძნობთ, როცა თქვენზე ლაპარაკობენ?**

— ალბათ, კითხვა უნდა დავაკონკრეტოთ — გააჩნია, რას ლაპარაკობენ. ისე, ვცდილობ, ყველა შენიშვნა გავითვალისწინო. თუმცა, რასაც ვაკეთებ, იმაში დარწმუნებული ვარ.

**— როგორ ფიქრობთ, მწვრთნელი უნდა შეეჩვიოს ფეხბურთელებს თუ პირიქით?**

— უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მწვრთნელი თითოეული ფეხბურთელის ხასიათს უნდა იცნობდეს და ყველასთან შესაბამისად იმუშაოს.

**— ახალი სეზონი იწყება. რას მიაღწევთ?**

— ხომ იცით, „ბარსელონა“ ყოველთვის მოგებისთვის იბრძვის. ეს სეზონი გამონაკლისი ვერ იქნება. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

**— რა შეიცვალა გუნდში თქვენი მოსვლის შემდეგ?**

— რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა, ახლებიც გვყავს. გვარების ჩამოთვლას არ შევუდგები, ისედაც ვიცით, ვინც არიან. თუმცა ეს მხოლოდ ჩემი დანიშვნით არ არის გამოწვეული. აქ ფინანსური ინტერესებიცაა გასათვალისწინებელი. ბევრი საკადრო საკითხი პრეზიდენტმა გადაწყვიტა. ისე, ახალი მწვრთნელის მოსვლით, ცხადია, რაღაცეები იცვლება. დაიწყება სეზონი და ნახეთ, თუ რით განსხვავდება ეს „ბარსელონა“ ძველისგან, ოღონდ პირველ ტურებში იძულებითი ცვლილებების მოხდენა მომიწევს. გვარდიოლა დამტვრეულია, აბელარდო და რაიციგერიც ფეხს იტკივებენ, პუიოლი ოლიმპიადაზე მიდის. ამიტომ დაცვაში, ალბათ, ემანუელ პეტის ჩამოვწევ. შეიძლება სარეზერვო გუნდიდანაც ავიყვანო ვინმე.

**— ალბათ, აზრი არა აქვს, გკითხოთ, რომელია თქვენი საყვარელი გუნდი...**

— მართალია, ნამდვილად უაზრო კითხვა გამოვა.

**— რივალდოზე რას გვეტყვით?**

— ზედმეტია იმის მტკიცება, რომ რივალდო დიდი ფეხბურთელია. გეხსომებათ, წინა სეზონში მას პრობლემები ჰქონდა, თვლიდა, რომ იმ პოზიციაზე, სადაც მეტი სარგებლის მოტანა შეეძლო, არ ათამაშებდნენ. მე მას ვეთანხმები და ფლანგის ნაცვლად ისევ ცენტრში გავამწესებ.

**— თქვენს გარდა ვინ იბრძოლებს ჩემპიონობისთვის?**

— „რეალი“, „ვალენსია“, „დეპორტივო“. მათგან ყველაზე ძლიერი კი „რეალია“.

**— 22 ოქტომბერს, მე-6 ტურში „ბარსელონა“ — „რეალია“...**

— ალბათ, ბევრი ნერვიულობა მომიწევს. შეუძლებელია, წინასწარ განვსაზღვროთ, ვინ გაიმარჯვებს, თუმცა მაინც „ბარსას“ იმედი მაქვს.

## ვინ, სად და რამდენად

**დეპორტივო (ლა კორუნია)** ***წავიდნენ:*** ფლავიო კონსეისაო (რეალი, 21.6 მილიონი); ***მოვიდნენ:*** დიეგო ტრისტანი (მალიორკა, 13.0), ალდო დუშერი (სპორტინგი, პორტუგალია, 11.4), ხუან კარლოს ვალერონი (ატლეტიკო, 10.8), ემერსონი (ტენერიფე, 8.1), ხოსე ფრანსისკო მოლინა (ატლეტიკო, 3.7), სეზარ სამპაიო (პალმეირასი, ბრაზილია, თანხა უცნობია)

**ბარსელონა** ***წავიდნენ:*** ლუიშ ფიგუ (რეალი, 56.0), რონალდ დე ბური (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია, 7.2), ფრედერიკ დეუ (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი, 2.7), ვიტორ ბაია (ტრანსფერზეა), უინსტონ ბოგარდი (ტრანსფერზეა), რუუდ ჰესპი (სიტარდი, ჰოლანდია, უფასოდ), ემანუელ ამუნიკე (ალბასეტე, უფასოდ), ალბერტო მარიო (ალავესი, გაანათხოვრეს) ***მოვიდნენ:*** მარკ ოვერმარსი (არსენალი, ინგლისი, 35.6), ხერარდ ლოპესი (ვალენსია, 19.7), ემანუელ პეტი (არსენალი, ინგლისი, 8.3), ალფონსო პერესი (ბეტისი, 11.8), რიშარ დუტრუელი (სელტა, უფასოდ), ივან დე ლა პენია (ლაციო, იტალია, ინათხოვრეს)

**ვალენსია** ***წავიდნენ:*** კლაუდიო ლოპესი (ლაციო, იტალია, 26.6), ხერარდ ლოპესი (ბარსელონა, 19.7), ფრანსისკო ხავიერ ფარინოსი (ინტერი, იტალია, 17.1), ოსკარ გარსია (ესპანიოლი, 4.2), გორან ვლაოვიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი, უფასოდ), ალენ როში (ბორდო, საფრანგეთი) ***მოვიდნენ:*** რუბენ ბარახა (ატლეტიკო, 10.8), იონ კარეუ (რუსენბორგი, ნორვეგია, 8.1), ზლატკო ზაჰოვიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი, 7.5), დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი, 3.5), დიეგო ალონსო (ხიმნასია ლა პლატა, არგენტინა, თანხა უცნობია)

**სარაგოსა** ***წავიდნენ:*** სავო მილოშევიჩი (პარმა, იტალია, 18.9), ლუის ელგერა (უდინეზე, იტალია, 540 000) ***მოვიდნენ:*** ალენ პეტერნაკი (ვალიადოლიდი, უფასოდ), ხორდი ფერონი (რაიო ვალეკანო, 1.5)

**რეალი (მადრიდი)** ***წავიდნენ:*** ნიკოლა ანელკა (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი, 31.2), ფერნანდო რედონდო (მილანი, იტალია, 16.2), კრისტიან კარამბუ (მიდლსბრო, ინგლისი, 3.7), ალბანო ბიზარი (ვალიადოლიდი, 1.5), ელვირ ბალიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი, გაანათხოვრეს), სამუელ ეტოო (მალიორკა, თანხა უცნობია) ***მოვიდნენ:*** ლუიშ ფიგუ (ბარსელონა, 56.0), ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო, 21.6), კლოდ მაკელელე (სელტა, 16.2), პედრო მუნიტისი (რასინგი, 12.9), სესარ სანჩესი (ვალიადოლიდი, 6.5), სანტიაგო სოლარი (ატლეტიკო, 3.4), ალბერტ სელადესი (სელტა, უფასოდ)

**ალავესი (ვიტორია)** ***წავიდნენ:*** ხულიო სალინასი (თამაში მიატოვა), გაბრიელ ტორეს მესტრე (ბეტისი, თანხა უცნობია), ხუან ნან რიბერა (ესპანიოლი, უფასოდ) ***მოვიდნენ:*** ხორდი კრუიფი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი, უფასოდ), ივან ტომიჩი (რომა, იტალია, ინათხოვრეს), ალბერტო მარიო (ბარსელონა, ინათხოვრეს)

**სელტა (ვიგო)** ***წავიდნენ:*** კლოდ მაკელელე (რეალი, 16.2), მარიო ტურდო (რენი, საფრანგეთი, 10.0), ჰაიმ რევივო (ფენერბაჰჩე, თურქეთი, 4.5), ივან კავიედესი (ვალიადოლიდი, გაანათხოვრეს), რიშარ დუტრუელი (ბარსელონა, უფასოდ), ალბერტ სელადესი (რეალი, უფასოდ), მაზინიო (ელჩე, უფასოდ), ნელსონ ვივასი (არსენალი, ინგლისი, დაბრუნდა) ***მოვიდნენ:*** დიეგო ენრიკე კატანია (მალაგა, 11.3), პაბლო კავალიერო (ესპანიოლი, 1.5), ჟუნიორ დორივა (სამპდორია, იტალია, თანხა უცნობია)

**ვალიადოლიდი** ***წავიდნენ:*** ვიქტორ ფერნანდესი (ვილიარეალი, 8.7), სესარ სანჩესი (რეალი, 6,5), ალენ პეტერნაკი (სარაგოსა, უფასოდ), შოჯი ჯო (იოკოჰამა მარინოსი, იაპონია, გაანათხოვრეს) ***მოვიდნენ:*** ალბანო ბიზარი (რეალი, 1.5), დრაგან ჩირიჩი (აეკ, საბერძნეთი, თანხა უცნობია), ივან კავიედესი (სელტა, ინათხოვრეს)

**რაიო ვალეკანო (მადრიდი)** ***წავიდნენ:*** ხორდი ფერონი (სარაგოსა, 1.5), მარკ დრეიპერი (ასტონ ვილა, ინგლისი, დაბრუნდა) ***მოვიდნენ:*** ელვირ ბოლიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი, თანხა უცნობია), ფრანსისკო პაჩი ფერეირა (ბილბაო, უფასოდ), ივან იგლესიასი (ოვიედო, თანხა უცნობია), გუსტავო ბარტელტი (რომა, იტალია, თანხა უცნობია)

**მალიორკა** ***წავიდნენ:*** დიეგო ტრისტანი (დეპორტივო, 10.8), ლორენ ეტამაიერი (არსენალი, ინგლისი, 10.5), პაკო სანსი (ეირდრი, შოტლანდია, უფასოდ), სამუელ ეტოო (რეალი, თანხა უცნობია) ***მოვიდნენ:*** კარლოს როა (დაბრუნდა), ჯორჯ ფინიდი (ბეტისი, 4.5)

**ატლეტიკი (ბილბაო)** ***წავიდნენ:*** ფრანსისკო პაჩი ფერეირა (რაიო ვალეკანო, უფასოდ), ედუ ალონსო (ლას პალმასი, თანხა უცნობია) ***მოვიდნენ:*** კარლოს მერინო (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი, უფასოდ), პაბლო ორბაისი (ოსასუნა, თანხა უცნობია), ჩომინ ნაგორე (ნუმანსია, დაბრუნდა)

**მალაგა** ***წავიდნენ:*** დიეგო ენრიკე კატანია (სელტა, 11.3), ბროტო სანჩესი (ეირდრი, შოტლანდია, უფასოდ) ***მოვიდნენ:*** ხულიო დელი ვალდესი (ოვიედო, უფასოდ)

**სოსიედადი (სან სებასტიანი)** ***წავიდნენ:*** რიკარდუ ზა პინტუ (სპორტინგი, პორტუგალია, 2.3), დიტმარ კუჰბაუერი (ვოლფსბურგი, გერმანია, უფასოდ), ვიქტორ ბონილია (ტულუზი, საფრანგეთი, 3.55), ხოსე ბარკერო (ტულუზი, საფრანგეთი, გაანათხოვრეს) ***მოვიდნენ:*** არიფ ერდემი (გალათასარაი, თურქეთი, 3.2), ტაიფუნ კორკუტი (ფენერბაჰჩე, თურქეთი, თანხა უცნობია), მატიას ასპერი (აიკ, შვედეთი, 2.0), სტეფან კოლე (ლანსი, საფრანგეთი, თანხა უცნობია), ფრედერიკ პიერემანსი (ტვენტე, ჰოლანდია, თანხა უცნობია)

**ესპანიოლი (ბარსელონა)** ***წავიდნენ:*** პაბლო კავალიერო (სელტა, 1.5), ბრანკო ბრნოვიჩი (თამაში მიატოვა) ***მოვიდნენ:*** ოსკარ გარსია (ვალენსია, 4.2), ხუან ნან რიბერა (ალავესი, უფასოდ)

**რასინგი (სანტანდერი)** ***წავიდნენ:*** სალვა ბალესტა (ატლეტიკო, 9.1), პედრო მუნიტისი (რეალი, 12.9), სერგეი შუსტიკოვი (ოსასუნა, თანხა უცნობია) ***მოვიდნენ:*** არავინ

**ოვიედო** ***წავიდნენ:*** ხულიო დელი ვალდესი (მალაგა, უფასოდ), პაულუ ბენტუ (სპორტინგი, პორტუგალია, თანხა უცნობია), ივან იგლესიასი (რაიო ვალეკანო, თანხა უცნობია) ***მოვიდნენ:*** ჯორჯე ტომიჩი (პარტიზანი, იუგოსლავია, თანხა უცნობია)

**ნუმანსია (სორია)** ***წავიდნენ:*** ჩომინ ნაგორე (ბილბაო, დაბრუნდა) ***მოვიდნენ:*** დავიდ პირი (ლას პალმასი, თანხა უცნობია), ლაურენტიუ როსუ (სტიაუა, რუმინეთი, თანხა უცნობია)

**ლას პალმასი** ***წავიდნენ:*** დავიდ პირი (ნუმანსია, თანხა უცნობია) ***მოვიდნენ:*** ოქთაი დერელიოღლუ (ბეშიქთაში, თურქეთი, 2.5), ედუ ალონსო (ბილბაო, თანხა უცნობია), ტორდურ გუდიონსონი (გენკი, ბელგია, თანხა უცნობია)

**ვილიარეალი** ***წავიდნენ:*** არავინ ***მოვიდნენ:*** ვიქტორ ფერნანდესი (ვალიადოლიდი, 8.7), გილერმო ამორი (ფიორენტინა, იტალია, უფასოდ), რუდოლფო არუაბარენა (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა, თანხა უცნობია)

**ოსასუნა (პამპლონა)** ***წავიდნენ:*** დეიან მარკოვიჩი (ადმირა ვაკერი, ავსტრია, თანხა უცნობია), პაბლო ორბაისი (ბილბაო, თანხა უცნობია) ***მოვიდნენ:*** სერგეი შუსტიკოვი (რასინგი, თანხა უცნობია)

*თანხები მოცემულია ამერიკულ დოლარებში*

# ყველა გუნდის განაცხადი

### რეალი (მადრიდი)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | ბოდო ილგნერი | GER | 33 |
| 13 | სესარ სანჩესი | | 29 |
| 25 | იკერ კასილიასი | | 19 |
| | **მცველები** | | |
| 2 | მიჩელ სალგადო | | 24 |
| 3 | რობერტო კარლოსი | BRA | 27 |
| 4 | ფერნანდო იერო | | 32 |
| 5 | მანუელ სანჩისი | | 35 |
| 12 | ივან კამპო | | 26 |
| 18 | აიტორ კარანკა | | 26 |
| 23 | ჟულიო სეზარი | BRA | 22 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 6 | ივან ელგერა | | 25 |
| 8 | სტივ მაკმანამანი | ENG | 28 |
| 10 | ლუიშ ფიგუ | POR | 27 |
| 11 | სავიო ბორტოლინი | BRA | 26 |
| 14 | ხოსე მარია გუტი | | 23 |
| 15 | ჯერემი ნჯიტაპი | CMR | 21 |
| 16 | ფლავიო კონსეისაო | BRA | 26 |
| 20 | ალბერტ სელადესი | | 24 |
| 21 | სანტიაგო სოლარი | | 23 |
| 24 | კლოდ მაკელელე | DRC | 27 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 7 | რაულ გონსალესი | | 23 |
| 9 | ფერნანდო მორიენტესი | | 24 |
| 17 | პედრო მუნიტისი | | 25 |
| 19 | ხორხე ლოპეს ტოტე | | 21 |
| 22 | ალბერტო რივერა | | 22 |
| 26 | პერიცა ოგნიენოვიჩი | YUG | 23 |

*მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე*

### ალავესი (ვიტორია)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | მარტინ ერერა | ARG | 29 |
| 25 | ენრიკე კიკე | | 29 |
| | **მცველები** | | |
| 2 | კოსმინ კონტრა | ROM | 24 |
| 4 | დან ეგენი | NOR | 30 |
| 5 | ანტონიო კარმონა | | 32 |
| 6 | ოსკარ ტელიესი | | 25 |
| 7 | დელფინ ჯელი | | 31 |
| 8 | ვლატკო დიოლონგა | CRO | 23 |
| 17 | რაულ განიანი | | 25 |
| 22 | ხოსე ტომას ხოსეტე | | 30 |
| 30 | ხუან ეპლიტე | | 23 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 3 | იბონ ბეგონია | | 26 |
| 10 | პაბლო გომესი | | 30 |
| 12 | ალბერტო მარიო | | 20 |
| 15 | ივან ტომიჩი | YUG | 24 |
| 16 | ალდო დესიო | ARG | 30 |
| 18 | მაურისიო ასტუდილიო | ARG | 23 |
| 20 | ხორხე ასკოიტია | | 26 |
| 21 | იურიცა ვუცკო | CRO | 23 |
| 27 | ასიერ სალკედო | | 20 |
| 32 | ნაჩო სარაგოსა | | 21 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 9 | ხავი მორენო | | 25 |
| 11 | მოსელინ მაგნო | BRA | 26 |
| 14 | ხორდი კრუიფი | HOL | 26 |
| 19 | ივან ალონსო | URU | 21 |

*მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო*

### სელტა (ვიგო)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 13 | ხოსე მანუელ პინტო | | 24 |
| 25 | პაბლო კავალიერო | ARG | 26 |
| 26 | რობერტო ფერნანდესი | | 21 |
| | **მცველები** | | |
| 2 | ხუან ველასკო | | 23 |
| 3 | რაფაელ ბერხესი | | 29 |
| 4 | ფრანსისკო კასერესი | ARG | 31 |
| 12 | მანოლო | | 20 |
| 14 | ფრანსისკო ხუანფრანი | | 24 |
| 18 | პაბლო კოირა | | 20 |
| 19 | გორან ჯოროვიჩი | YUG | 28 |
| 21 | სერხიო ფერნანდესი | | 23 |
| 23 | იაგო | | 19 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 5 | ევერტონ ჯოვანელა | BRA | 29 |
| 6 | ალბერტო ტომასი | | 29 |
| 8 | ვალერი კარპინი | RUS | 31 |
| 10 | ალექსანდრ მოსტოვოი | RUS | 32 |
| 15 | ჟუნიორ დორივა | BRA | 28 |
| 20 | ანტონიო ხესული | | 22 |
| 22 | ედუ | | 22 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 7 | როჟერიო ვაგნერი | BRA | 21 |
| 9 | პაბლო გონსალესი | | 21 |
| 11 | გუსტავო ლოპესი | ARG | 27 |
| 17 | ბენედიქტ მაკკარტი | SAF | 22 |
| 24 | დიეგო ენრიკე კატანია | BRA | 28 |

*მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი*

### ვალიადოლიდი

| | | | |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | ფელიპე რიკარდო | | 28 |
| 13 | ალბანო ბიზარი | ARG | 22 |
| 25 | ხონ ანდერი | | 23 |
| | **მცველები** | | |
| 2 | ალბერტო მარკოსი | | 26 |
| 3 | გაბრიელ პაინცე | ARG | 22 |
| 4 | პაბლო რიკეტი | ARG | 23 |
| 5 | ანტონიო გარსია კალვო | | 25 |
| 6 | ხოსე ლუის სანტამარია | | 27 |
| 8 | ხავიერ ტორეს გომესი | | 30 |
| 17 | ხუან მანუელ პეკა | BOL | 27 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 7 | დრაგან ჩირიჩი | YUG | 25 |
| 10 | ეუსებიო საკრისტანი | | 36 |
| 12 | ლუის მარკესი | | 28 |
| 14 | ხოსე მანუელ ჩემა | | 24 |
| 15 | ანტონიო ლოპესი | | 20 |
| 16 | სანჩეს ხესუსი | | 25 |
| 18 | ხესუს ანხელ ტურიელი | | 26 |
| 20 | აროლდ ლოზანო | | 27 |
| 21 | ხოსე ლუის კამინერო | | 32 |
| 22 | ფერნანდო სალესი | | 22 |
| 24 | ფერნანდო მიგელი | | 21 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 9 | ივან კავიედესი | ECU | 22 |
| 11 | კვატემოკ ბლანკო | MEX | 27 |
| 19 | ალბერტო ლოპესი | | 33 |
| 23 | სერხიო პაჩინი | | 23 |

*მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო*

### დეპორტივო (ლა კორუნია)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | ჟაკ სონგო | CMR | 36 |
| 13 | ხოსე ფრანსისკო მოლინა | | 30 |
| | **მცველები** | | |
| 2 | მანუელ პაბლო | | 24 |
| 3 | ენრიკე რომერო | | 29 |
| 4 | ნურედინ ნაიბეტი | MAR | 30 |
| 5 | სესარ მარტინი | | 23 |
| 15 | ხუან კაპდევილა | | 22 |
| 16 | სეზარ სამპაიო | BRA | 32 |
| 22 | მარინო პელდერი | ARG | 28 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 6 | მაურო სილვა | BRA | 32 |
| 8 | ჯალმინია | BRA | 29 |
| 10 | ფრანსისკო ხავიერ ფრანი | | 31 |
| 12 | ლიონელ სკალონი | ARG | 22 |
| 14 | ემერსონი | BRA | 28 |
| 18 | ვიქტორ სანჩესი | | 24 |
| 20 | დონატო | BRA | 38 |
| 21 | ხუან კარლოს ვალერონი | | 25 |
| 23 | ალდო დუშერი | ARG | 21 |
| 24 | სლავიშა იოკანოვიჩი | YUG | 32 |
| 25 | ფერნანდო სანჩესი | | 28 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 7 | როი მაკაი | HOL | 25 |
| 9 | დიეგო ტრისტანი | | 24 |
| 11 | ტურუ ფლორესი | ARG | 29 |
| 17 | ვალტერ პანდიანი | URU | 24 |

*მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა*

### ბარსელონა

| | | | |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | რიშარ დუტრუელი | FRA | 27 |
| 25 | ფრანსისკ არნაუ | | 25 |
| | **მცველები** | | |
| 2 | მიხაელ რაიციგერი | HOL | 27 |
| 3 | ფრანკ დე ბური | HOL | 30 |
| 5 | აბელარდო ფერნანდესი | | 30 |
| 12 | სერხი ბარხუანი | | 28 |
| 24 | კარლეს პუიოლი | | 22 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 4 | ხოსეპ გვარდიოლა | | 29 |
| 6 | ივან დე ლა პენია | | 24 |
| 8 | ფილიპ კოკუ | HOL | 29 |
| 11 | მარკ ოვერმარსი | HOL | 27 |
| 14 | ხერარდ ლოპესი | | 23 |
| 15 | იარი ლიტმანენი | FIN | 29 |
| 16 | ხავი ერნანდესი | | 20 |
| 17 | ემანუელ პეტი | FRA | 29 |
| 18 | გაბრი გარსია | | 21 |
| 21 | ლუის ენრიკე | | 30 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 7 | ალფონსო პერესი | | 27 |
| 9 | პატრიკ კლუივერტი | HOL | 24 |
| 080 | ბოვუა-ნიცა | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| 081 | კაენი-ლე ავრი | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 082 | კანი-ნანსი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| 083 | შატორუ-მონპელიე | 3,2 | 2,7 | 2,3 |
| 084 | ლე მანი-ლავალი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 085 | მარტიგი-ვასკეალი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 086 | ნიმი-კრეტეი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 087 | ნიორი-ლორიანი | 2,2 | 2,7 | 3,2 |

### იტალია. სერია ბ . მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10 სექტემბერი | | | |
| 088 | ანკონა-მონცა 18.00 | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 089 | კროტონე-რავენა 18.00 | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 090 | ჯენოა-სიენა 18.00 | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 091 | პესკარა-ემპოლი 18.00 | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 092 | პიაჩენცა-კოზენცა | 1,4 | 3,5 | 8,0 |
| 093 | პიაჩენცა-კოზენცა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 094 | პისტოიეზე-ტორინო 18.00 | 2,9 | 2,6 | 2,5 |
| 095 | ტერნანა-კიევო 18.00 | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 096 | ტრევიზო-კალიარი 18.00 | 2,7 | 2,6 | 2,6 |
| 097 | ვენეცია-ჩიტადელა 18.00 | 1,25 | 4,7 | 10,0 |
| 098 | ვენეცია-ჩიტადელა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 11 სექტემბერი | | | |
| 289 | სალერნიტანა-სამპდორია | 2,3 | 2,5 | 3,4 |

### იტალია. სერია ც1/ა . მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10 სექტემბერი | | | |
| 099 | ალძანო-ალესანდრია | 1,4 | 3,2 | 8,0 |
| 100 | ალძანო-ალესანდრია 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 101 | არეცო-მოდენა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 102 | ჩეზენა-ლეკო | 1,3 | 3,8 | 9,0 |
| 103 | ჩეზენა-ლეკო 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,6 |
| 104 | კომო-ლუმეცანე | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 105 | ლივორნო-ვარეზე | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 106 | ლუკეზე-კარარეზე | 1,45 | 3,1 | 7,5 |
| 107 | ლუკეზე-კარარეზე 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,1 |
| 108 | რეჯანა-ალბინოლეფე | 1,7 | 2,6 | 5,6 |
| 109 | სპალ-პიზა | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 110 | სპეცია-ბრეშელო | 2,4 | 2,5 | 3,2 |

### იტალია. სერია ც1/ბ . მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10 სექტემბერი | | | |
| 111 | ასკოლი-ვიტერბეზე | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 112 | აველინო-ლოდიჯანი | 1,7 | 2,5 | 6,0 |
| 113 | ბენევენტო-დი სანგრო | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 114 | კატანია-ფერმანა | 2,2 | 2,4 | 3,5 |
| 115 | ფ.ანდრია-ნოჩერინა | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 116 | მესინა-პეზარო | 1,9 | 2,4 | 4,7 |
| 117 | პალერმო-ჯულიანოვა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 118 | ტორესი-ატლეტიკო | 2,3 | 2,4 | 3,3 |
| 119 | სავოია-აკილა | 1,5 | 3,0 | 7,5 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. I-ლი ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 9 სექტემბერი | | | |
| 120 | ბარსელონა-მალაგა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 121 | ბარსელონა-მალაგა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 123 | სარაგოსა-ესპანიოლი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 128 | რეალი-ვალენსია | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 129 | დეპორტივო-ბილბაო | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 130 | სოსიედადი-რასინგი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| | 10 სექტემბერი | | | |
| 122 | ოსასუნა-სელტა | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 126 | ნუმანსია-ოვიედო | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 127 | მალიორკა-ვალიადოლიდი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 124 | ვილიარეალი-რაიო ვალეკანო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 125 | ლას პალმასი-ალავესი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 9 სექტემბერი | | | |
| 131 | ატლეტიკო-უელვა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 132 | ატლეტიკო-უელვა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 133 | უნივერსიდადი-ხეტაფე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | 10 სექტემბერი | | | |
| 134 | ბეტისი-ელჩე 15.00 | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 135 | ბეტისი-ელჩე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 136 | ტენერიფე-სპორტინგი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 137 | ფეროლი-კომპოსტელა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 138 | ეიბარი-ლეგანესი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 139 | სალამანკა-სევილია | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 140 | ბადახოსი-ხაენი | 1,65 | 3,0 | 5,3 |
| 141 | კორდობა-ლევანტე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 142 | ესტრემადურა-ალბასეტე | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 143 | მურსია-ლეიდა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### პორტუგალია. I ლიგა. მე-3 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 9 სექტემბერი | | | |
| 145 | პორტუ-ფერეირა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 146 | პორტუ-ფერეირა 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 147 | ლეირია-ბენფიკა | 4,4 | 3,0 | 1,75 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 148 | ბეირა მარი-ბელენენსეში | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 149 | ავეში-კამპომაიორენსე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 150 | სალგეირუში-მარიტიმუ | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 151 | ჟილ ვისენტე-ფარენსე | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 152 | ამადორა-ბოავიშტა | 3,4 | 2,9 | 2,1 |

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 153 | ალვერკა-გიმარაეში | 2,3 | 2,9 | 3,0 |

პორტუგალია. II ლიგა. მე-3 ტური

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 154 | მაია-შავეში | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 155 | ნავალი-რიუ ავე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 156 | ესპინიუ-სანტა კლარა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 157 | პენაფიელი-ნასიონალი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 158 | მარკუ-ფელგეირაში | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 159 | აკადემიკა-ლეცა | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 160 | ფრეამუნდე-იმორტალი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 161 | სეტუბალი-ვარზიმი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-4 ტური

9 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 163 | აიაქსი-გრონინგენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 164 | აიაქსი-გრონინგენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 165 | ტილბურგი-ვიტესი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 166 | გრააფსხაპი-ალკმაარი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 167 | ჰერენვენი-ბრედა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 168 | ჰერენვენი-ბრედა 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 169 | როდა-ტვენტე | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 170 | ფეიენოორდი-ვალვაიკი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 171 | ფეიენოორდი-ვალვაიკი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 172 | სპარტა-როზენდალი 17.30 | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 173 | ნაიმეგენი-უტრეხტი 17.30 | 1,9 | 3,2 | 3,5 |

ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-4 ტური

9 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 174 | ემენი-დენ ჰააგი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 175 | დორდრეხტი-ვენლო | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 176 | დორდრეხტი-ვენლო 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 177 | ჰელმონდი-ვეენდამი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 178 | კამბური-მაასტრიხტი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 179 | ოსი-ეინდჰოვენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 180 | ჰაარლემი-ტელსტარი 17.30 | 2,4 | 3,2 | 2,5 |

ბელგია. I დივიზიონი. მე-5 ტური

9 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 181 | ბევერენი-გენკი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 182 | შარლერუა-ლიერსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 183 | ანტვერპენი-ანდერლეხტი | 5,3 | 3,5 | 1,55 |
| 184 | მეხელენი-სტანდარდი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 185 | სენტ ტრუიდენი-მუსკრონი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 186 | ვესტერლო-გენტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 187 | ბრიუგე-ლუვიე 18.00 | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| 188 | ბრიუგე-ლუვიე 0:1 | 1,3 | 4,0 | 4,8 |
| 189 | აალსტი-ლოკერენი 18.00 | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 190 | ჰარელბეკე-ბეერსხოტი !8.00 | 2,5 | 3,0 | 2,5 |

ბელგია. II დივიზიონი. მე-4 ტური

9 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 191 | გეელი-დაინცე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 192 | გეელი-დაინცე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 193 | ჰეკელგემი-დესელი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 194 | სერკლი-მონსი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 195 | სერკლი-მონსი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 196 | ინგელმუნსტერი-ლიეჟი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 197 | ინგელმუნსტერი-ლიეჟი | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 198 | ოსტენდე-მაასლანდი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 199 | ოსტენდე-მაასლანდი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 200 | ტინენი-ტურნჰაუტი 18.00 | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 201 | რუზელარე-ჰეუსდენი 18.00 | 1,8 | 3,4 | 3,5 |
| 202 | სტრომბეკი-ლომელი 18.00 | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 203 | დენდერლეუ-მოლენბეკი 18.00 | 2,3 | 3,1 | 2,8 |

საბერძნეთი. 1-ლი ტური

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 204 | ოლიმპიაკოსი-ეთნიკოსი 18.00 | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 205 | ოლიმპიაკოსი-ეთნიკოსი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 206 | ოფი-არისი 18.00 | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 207 | იონიკოსი-ათინაიკოსი 18.00 | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 208 | პანილიაკოსი-პანიონიოსი 18.00 | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 209 | აეკ-ირაკლისი 18.00 | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 210 | პანათინაიკოსი-იანინა 18.00 | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| 211 | პანათინაიკოსი-იანინა 0:1 | 1,3 | 4,0 | 4,8 |
| 212 | პანაჰაიკი-ქსანთი 18.00 | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 213 | კალამატა-პაოკ 18.00 | 3,4 | 2,9 | 2,1 |

ჩეხეთი. მე-6 ტური

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 215 | ჟიჟკოვი-პრეიბრამი 13.15 | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 216 | პლზენი-ბოჰემიანსი 18.00 | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 217 | იაბლონეცი-სიგმა 18.00 | 2,5 | 3,0 | 2,5 |

პოლონეთი. მე-7 ტური

9 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 225 | ზაგლებე-პოგონი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 227 | გროცლინი-ვიძევი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 226 | რაძიონკოვი-გურნიკი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 219 | შლიონსკი-ამიცა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 220 | რუხი-კატოვიცე | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 221 | პლოცკი-სტომილი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 223 | ლეგია-ოდრა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 224 | ლეგია-ოდრა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 222 | ვისლა-პოლონია | 2,1 | 2,9 | 3,6 |

თურქეთი. მე-4 ტური

9 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 229 | ანკარაგიუჯიუ-გენჩლერბირლ. | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 230 | ანთალია-დენიზლი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 231 | ტრაბზონი-ქოჯაელი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 232 | ტრაბზონი-ქოჯაელი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 233 | გალათასარაი-სამსუნი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 234 | გალათასარაი-სამსუნი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 235 | იოზგათი-რიზე 18.00 | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 236 | ერზურუმი-ბურსა | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 237 | გაზიანთეფი-ისთანბული | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 238 | გაზიანთეფი-ისთანბული 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 239 | ფენერბაჰჩე-იეთფა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 240 | ფენერბაჰჩე-იეთფა 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

შოტლანდია. მე-7 ტური

9 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 241 | აბერდინი-სენტ ჯონსტონი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 242 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 243 | სელტიკი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 244 | დანდი-რეინჯერსი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| 245 | ჰართსი-დანფერმლაინი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 246 | კილმარნოკი-დანდი იუნ. | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 247 | სენტ მირენი-მოზერუელი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

ავსტრია. გადადებული მატჩები

9 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 249 | აუსტრია-ზალცბურგი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 250 | ბრეგენცი-შტურმი | 3,8 | 3,0 | 1,9 |

შვეიცარია. ა ჯგუფი. მე-10 ტური

9 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 252 | ქსამაქსი-ლოზანა | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 253 | სერვეტი-ლუგანო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 254 | ივერდონი-სენტ გალენი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 255 | გრასჰოპერი-აარაუ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 256 | გრასჰოპერი-აარაუ 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 257 | ლუცერნი-სიონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

შვეიცარია. ბ ჯგუფი. მე-12 ტური

9 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 258 | ვანგენი-იანგ ბოისი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 259 | ვილი-კარუჟი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 260 | ვინტერთური-კრინსი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 261 | ვინტერთური-კრინსი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 262 | ბადენი-ბელინცონა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 263 | ლოკარნო-სოლოთურნი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 264 | თუნი-დელემონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

დანია. მე-8 ტური

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 265 | აკადემისკი-ჰერფიოლგე 18.00 | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 266 | ჰადერსლევი-ოდენსე 18.00 | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 267 | ლიუნგბიუ-ბრიონდბიუ 18.00 | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 268 | ვიბორგი-მიდტიულანდი 18.00 | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 269 | სილკებორგი-ორჰუსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 270 | ოლბორგი-კოპენჰაგენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

რუსეთი. გადადებული მატჩი

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 271 | ჩერნომორეცი-ზენიტი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

შვედეთი. მე-19 ტური

9 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 272 | სუნდსვალი-ჰელსინგბორგი 17.00 | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 278 | ნორჩიოპინგი-გიოტებორგი 18.00 | 2,6 | 3,1 | 2,4 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 273 | აიკ-გაის | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 274 | აიკ-გაის 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 275 | იორებრო-ჰალმსტადი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 276 | ჰეკენი-ფრიოლუნდა | 1,75 | 3,4 | 3,6 |
| 277 | ჰამარბი-ტრელებორგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

ნორვეგია. 22-ე ტური

9 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 281 | მოსი-ბრანი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 285 | ტრომსიო-რუსენბორგი | 3,4 | 3,1 | 2,0 |

10 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 279 | ბოდიო გლიმტი-ვიკინგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 280 | ბრინი-ლილესტრიომი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 282 | სტაბეკი-ჰაუგესუნდი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 283 | სტაბეკი-ჰაუგესუნდი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 284 | სტარტი-ოდ გრენლანდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 286 | ვოლერენგა-მოლდე | 2,5 | 3,2 | 2,4 |

იტალიის სუპერთასი

უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩი

11 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | ბოჰემიანსი-კაიზერსლაუტ. | 6,0 | 3,5 | 1,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# სამეფო რბოლები გაჩეხილ სამეფო პარკში

**F1** მეთოთხმეტე ეტაპი · იტალიის დიდი პრიზი

## აუტოდრომო ნაციონალე

*მონცა, 10 სექტემბერი*




**ტრასის სიგრძე** ........................................ **5.783 კმ**
**რბოლის დისტანცია** .......................... **53 წრე — 306.234 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

### შარშანდელი შედეგები

1 ფრენცენი (ჯორდანი); 2 რ. შუმახერი (უილიამსი); 3 სალო (ფერარი); 4 ბარიკელო (სტიუარტი); 5 კულჰარდი (მაკლარენი); 6 ირვინი (ფერარი).

**კვალიფიკაცია:** ჰაკინენი (მაკლარენი) 1:22.432

### წინა წლების გამარჯვებულები

1990 — სენა (მაკლარენი); 1991 — მენსელი (უილიამსი); 1992 — სენა (მაკლარენი); 1993, 94 — ჰილი (უილიამსი); 1995 — ჰერბერტი (ბენეტონი); 1996 — მ. შუმახერი (ფერარი); 1997 — კულჰარდი (მაკლარენი); 1998 — მ. შუმახერი (ფერარი).

**საუკეთესო წრე:** 1997 — ჰაკინენი (მაკლარენი) 1:24.808

მონცა იუბილარია — ფორმულის უსწრაფესი ტრასა ხვალ 50-ედ უმასპინძლებს სამეფო რბოლებს. ეს აბსოლუტური რეკორდი გახლავთ, ამდენი დიდი პრიზი არც ერთ სხვა ავტოდრომზე არ გათამაშებულა.

მილანიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით სარბოლო ტრასის გაყვანა ბენიტო მუსოლინის ბატონობის დასაწყისში გადაწყდა. სპორტული ავტოების საჯირითო ადგილის მოსაწყობად მონცას „სამეფო ტყე-პარკის" საუკუნოვან ბინადართა გაჩეხვა კი გახდა აუცილებელი, მაგრამ თავად „დუჩეს" მიერ ბეჭედდასმულ ამ სიავეს წინ რა დაუდგებოდა. ისე, რამდენიმე წლის წინ, წრის მორიგი რეკონსტრუქციისას, ხუთიოდე ხის ამოძირკვის წინაალმდეგ „მწვანეებმა" ქვეყანა შეძრეს და საწადელსაც მიაღწიეს.

გიგანტური, იმ დროისთვის არნახული ავტოდრომი წარმოუდგენლად მოკლე ვადაში — ოთხიოდ თვეში მზად იყო. 3500 მუშას საამისოდ დღე-ღამის გასწორება მოუხდა. 1922 წლის 10 სექტემბერს „მონცაზე" იტალიის პირველი დიდი პრიზი გაითამაშეს. გამარჯვება პეტრო ბორდინის „ფიატს" დარჩა.

პირველი საფორმულო ჩემპიონატის რბოლაც (1950) მასპინძელთა ტრიუმფით დასრულდა. დღევანდელთან შედარებით ბევრად გრძელი, 504-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად ნინო ფარინას „ალფა რომეომ" დაძლია, ფინიშთან მესამე მისი თანაგუნდელი ლუიჯი ფაჯიოლი მივიდა, მეორე ადგილი და 6 ქულა კი ფერარელებმა — ალბერტო ასკარიმ და ჯუზეპე სერაფინიმ ძმურად გაიყვეს, რადგან მორიგეობით უსხდნენ ერთი ბოლიდის საჭეს. მაშინ ეს ნებადართული იყო.


REUTERS მონაცემებიდან

**გუშინდელი პირველი ვარჯიში რუბენს ბარიკელომ მოიგო**

ტრეკს ნახევარი საუკუნის მანძილზე ერთი ათჯერ მაინც ეცვალა კონფიგურაცია. ათკილომეტრიანი ტრასა თითქმის ორჯერ დამოკლდა და ბოლო ორმოცი წელი უცვლელი სიგრძისაა. საკმაოდ მარტივი პროფილის წრეზე ოთხი სწორი მონაკვეთია, სადაც სიჩქარე 330-340 კილომეტრამდე აღწევს, თანაც ფართო გზა გასწრების მშვენიერ საშუალებას იძლევა. ამდენად, „მონცაზე" გადამწყვეტი უპირატესობა ზემძლავრი ბოლიდების მხარესაა.

1955 წელს „აუტოდრომო ნაციონალეს" მორიგი ძირფესვიანი „რემონტის" შედეგად ფინიშის წინ მეტად რთული მოსახვევი — „პარაბოლიკა" გაჩნდა. როგორც წესი, ტრასებზე ყველაზე საშიშია სტარტის შემდგომი პირველი მოსახვევი, „მონცაზე" პირიქითაა — „პარაბოლიკა" საკმაოდ გლუვი, თუმცა დაქანებული და იმავდროულად ცვლადრადიუსიანი მუხანათი ვირაჟია, სადაც არაერთი მრბოლი გადაჰყრია ხიფათს. ოცდაათი წლის წინ იოხენ რინდტის „ლოტუსი" „პარაბოლიკიდან" ტყვიასავითი გავარდა და ბარიერს მიენარცხა. ავსტრიელი პილოტი იმავე საღამოს მილანის კლინიკაში გარდაიცვალა.

მონცას ისტორიაში კიდევ სამი ტრაგედიაა. 1955 წელს „ფერარის" ახალი მოდელის გამოცდისას დაიღუპა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ასკარი, ხოლო გერმანელი ვოლფგანგ ფონ ტრიპსი (1961) და შვედი რონი პეტერსონი (1978) რბოლის დასაწყისშივე გაწირა ბედისწერამ. ამასთან ფონ ტრიპსის „ფერარიმ" 14 მაყურებელიც იმსხვერპლა.

მშობლიურ ტრასაზე მოგებებით, ცხადია, „ფერარია" წინ. სისხლისფერი ბედაურების ანგარიშზე 12 დიდი პრიზია, ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ კი ოთხჯერ (1980, 83, 86, 87) იზეიმა გამარჯვება.

იტალიური ეტაპი დღემდე დაუძლეველ ზღუდედ რჩება მიკა ჰაკინენისთვის, თუმცა სამჯერ იდგა პოდიუმზე. ორი კვირის წინ, ბელგიურ სპაზე რბოლაში ფანტასტიკური, ისტორიული გასწრებით მან სანახევროდ უკვე მოუგო წლევანდელი ჩემპიონატი მიხაელ შუმახერს. თუ მიკა ხვალ „მონცაზე" პირველად გაიმარჯვებს, შუმის პრაქტიკულად შანსი აღარც დარჩება.

**ირაკლი ნიკოლაძე**

---

ველორბოლა

# ძარმა დაღალა

**სარაგოსას** გარშემო გამართული „ვუელტას" მე-12 ეტაპი იტალიელი ალესანდრო პეტაჩის გამარჯვებით დასრულდა. ლიდერის ოქროსფერი მაისურა კი ესპანელმა ანხელ კასერომ შეინარჩუნა.

პეტაჩიმ წლევანდელ „ვუელტაზე" მეორე წარმატებას მიაღწია. მან რამდენიმე დღის წინ მერვე ეტაპიც მოიგო. ფინალურ სპრინტში „ფასა ბორტოლოს" წევრმა თანამემამულეებს — ჯოვანი ლომბარდისა და სტეფანო კასაგრანდეს აჯობა. საინტერესოა, რომ ლომბარდი მეოთხედ გახდა მეორე. ტელეკომელს მუდმივად მცირედი აშორებს ხოლმე გამარჯვებისგან.

რბოლა ისევ ქარიან ამინდში წარიმართა და პელოტონიც ტრადიციულად რამდენიმე ნაწილად გაწყდა. კასერომ და მისმა უახლოესმა მდევარმა, რობერტო ერასმა გზა პეტაჩის ჯგუფში დაასრულეს, მესამე ადგილზე მყოფმა იგორ გონსალეს დე გალდეანომ კი მათთან ექვსი წამი წააგო. იან ულრიხმა კი ლომბარდი გამოაქანა და მერე პედლების ტრიალი შეწყვიტა, რაც 12 წამის დაკარგვად დაუჯდა, თუმცა ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა — მას უკვე გადაეწყვიტა „ვუელტას" მიტოვება.

შესაბამისად, რუსი პაველ ტონკოვი საერთო ჩათვლაში ხუთეულში შევიდა. ისე, ეტაპის მთავარი უიღბლო სწორედ ის შეიქმნა ფერნანდო ესკარტინსა და მანუელ ბელტრანთან ერთად. ამ სამეულმა პელოტონის დაშლის გამო 34 წამი წააგო.

ფინალურ სპრინტამდე კი რვაკაციანმა ჯგუფმა სცადა წარმატებული იერიშის განხორციელება, მაგრამ პელოტონს სათავეში კასეროს „ფესტინა" ჩაუდგა, რომელსაც „ფასა ბორტოლოც" გვარიანად დაეხმარა და ლტოლვილების გეგმებიც საპნის ბუშტივით გასკდა.

„ეს გამარჯვება პირველზე უფრო გამიძნელდა. გზაზე ბევრი ენერგია დავხარჯეთ, რადგან ძალიან ძლიერი ქარი უბერავდა" — თქვა პეტაჩიმ.



ანხელ კასერო შვილით

გუშინ მრბოლებს დასვენების დღე ჰქონდათ, რომლის დროსაც ორგანიზატორებმა „ვუელტას" მთელი პელოტონი სარაგოსადან სანტანდერში გადაიყვანეს, სადაც დღეს მეცამეტე ეტაპი გაიმართება. მას საერთო ჩათვლაში დიდი ცვლილებები არ უნდა მოჰყვეს, რადგან გზა საკმაოდ იოლია — დღის ერთადერთი დაბრკოლება, პირველი კატეგორიის სიძნელის მთა, ფინიშამდე ორმოციოდე კილომეტრშია.

**გაიოზ თალაკვაძე**

**მეთორმეტე ეტაპი**

სარაგოსა, 131,5 კმ

1. ალესანდრო პეტაჩი (იტალია, ფასა ბორტოლო) — 2სთ 44წთ 36წმ
2. ჯოვანი ლომბარდი (იტალია, ტელეკომი)
3. სტეფანო კასაგრანდე (იტალია, ალესიო)
4. მარტინ გარიდო (არგენტინა, ფუენლაბრადა)
5. მასიმილიანო ჯენტილი (იტალია, კანტინა ტოლო) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) — 40სთ 17წთ 27წმ
2. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — +1წთ 15წმ
3. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +1წთ 48
4. სანტოს გონსალესი (ესპანეთი, ონსე) — +2სთ 44
5. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — +3წთ 21

# ულრიხმა სიტყვა გატეხა

**გერმანელმა** მრბოლმა იან ულრიხმა (ტელეკომი) ხუთშაბათს, სარაგოსული ეტაპის შემდეგ განაცხადა, რომ „ვუელტას" ეთხოვება, რათა სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მოემზადოს.

„ჩემი მთავარი მიზანი სიდნეის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოგებაა. მირჩევნია, ახლა „ვუელტა" მივატოვო და დავისვენო, ვიდრე კიდევ ზედმეტი ძალები დავხარჯო" — თქვა ულრიხმა პრესკონფერენციაზე, რომელიც მხოლოდ ოთხ წუთს გაგრძელდა. მან იქვე ბოდიში მოუხადა „ვუელტას" ორგანიზატორებს და დაამატა, რომ ეს მშვენიერი შეჯიბრია, მაგრამ მისი გადაწყვეტილება გარემოებებმა განაპირობეს. ახლა აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქ როსტოკში დაბადებული და გაზრდილი მრბოლი თავის ამჟამინდელ სახლში, ფრაიბურგის მახლობლად განაგრძობს ვარჯიშს. იგი გუშინ გერმანიაში გაფრინდა, რამდენიმე ხანში კი სიდნეიში გაემგზავრება, სადაც ინდივიდუალურ რბოლაში სურს წარმატების მიღწევა, დისციპლინაში, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონია.

1999 წლის „ვუელტას" მომგებ ულრიხს საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილი ეკავა და საბოლოო გამარჯვების კარგი შანსიც ჰქონდა, მაგრამ, მისი აზრით, ოლიმპიური ოქროს ბრწყინვალება უფრო მიმზიდველი ყოფილა, ვიდრე „ვუელტას" ლიდერის ოქროსფერი მაისურა.

ტურნირის დაწყების წინ „ტელეკომის" ლიდერი ამტკიცებდა, რომ ესპანეთში ტიტულის დასაცავად ჩავიდა, მაგრამ ახლა სიტყვა გატეხა. თუმცა მისმა საკმაოდ სუსტმა შედეგებმა ინდივიდუალური რბოლებისას (პირველ ეტაპზე მე-20, ხოლო მეცხრე ეტაპზე მე-6 ადგილი დაიკავა), მთებში უინიციატივობამ და შეტევის სურვილის უქონლობამ ბევრი სპეციალისტი დააეჭვა.

შეიძლება ვიფიქროთ კიდეც, რომ იან ულრიხს „ვუელტას" მიტოვება სარაგოსას ეტაპის შემდეგ წინდაწინვე ჰქონდა დაგეგმილი და ეს შეჯიბრი მხოლოდ ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად გამოიყენა. ამ მოსაზრებას ისიც უმაგრებს ზურგს, რომ ულრიხი ხშირად ამზადებდა თავისი პეპელა თანაგუნდელის, იტალიელი ჯოვანი ლომბარდის სპრინტებს, რასაც, წესით, საერთო ჩათვლაში საბოლოო გამარჯვებისთვის მებრძოლი მრბოლი არ უნდა აკეთებდეს. არადა, ულრიხს ნამდვილად შეეძლო „ვუელტას" ზედიზედ მეორედ მოგება, რადგან ჩინებულ ფორმაში იყო და ზედმეტი წონაც, რის გამოც ორი „ტურ დე ფრანსი" დათმო, არ აწუხებდა. მაგრამ მან ოლიმპიადა ირჩია.

სიდნეიში კი ულრიხს გამარჯვების მშვენიერი შანსი აქვს, რადგან მისი უპირველესი კონკურენტი, ამერიკელი ლენს არმსტრონგი შეიძლება საერთოდაც ვერ ჩავიდეს ავსტრალიაში. „პოსტალის" წევრს ოლიმპიური ოქრო ოცნებად ქცევია. 1992 წელს ბარსელონაში მას მომავალმა თანაგუნდელმა, იტალიელმა ფაბიო კასარტელიმ აჯობა, რომელიც სამი წლის შემდეგ „ტურ დე ფრანსის" დროს ტრაგიკულად დაიღუპა. 1996 წელს ატლანტაშიც ვერაფრით გამოიჩინა თავი არმსტრონგმა, რადგან სათესლე ჯირკვლების სიმსივნე ჰქონდა და სპორტს კი არა, ლამის სიცოცხლესაც გამოემშვიდობა. თუმც უდიდესი ნებისყოფის ადამიანმა შეძლო, ავადმყოფობას მორეოდა (ექიმებიც მიეხმარნენ) და შარშან და წლეულს ზედიზედ ორი „ტური" მოიგო.

იგი ოლიმპიადაზეც უმთავრესი ფავორიტი იქნებოდა, რომ არა ერთი კვირის წინანდელი ავარია. მას ვარჯიშისას მანქანა დაეჯახა. 29 წლის მრბოლი თითქოს ძლიერად არ დაშავებულა და ველოსიპედს ორიოდ დღეში უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ ექიმებმა ხელმეორე გამოკვლევა ჩაუტარეს და მეტი დაზიანება დაუდგინეს. არმსტრონგი თავის ჯანმრთელობაზე კომენტარებს არ აკეთებს და ექიმებსაც სთხოვა, ჟურნალისტებთან საუბარში თავი შეიკავონ. ამიტომ მის მდგომარეობაში ზუსტად გარკვევა ფაქტობრივად შეუძლებელია.

ერთი რამ კი ნათელია. „სიდნეიში მოგება მინდა" — თქვა ამერიკელმა ამას წინათ და თუ მის ხასიათს გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რომ ავსტრალიაში იგი, ალბათ, მაინც ირბოლებს. გაიმარჯვებს თუ ვერა, ეს უკვე სხვა საკითხია.

**გაგი გურული**



იან ულრიხი

# საქართველომ ამერიკას ისტორია წაუხდინა

**ქართველმა მორაგბეებმა ერთხელაც დაამტკიცეს, რომ მსოფლიოს შვიდკაცა რაგბიში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ. გუშინწინ საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა იერუსალიმში ტრადიციული ტურნირი მოიგო და იანვარში დაგეგმილი მსოფლიო თასის ფინალისთვის მშვენიერი განწყობა შეიქმნა**

**ქართველთა** წარმატებას დიდად ვერ ახუნებს ის ამბავი, რომ შვიდკაცას მეფეებს — ახალ ზელანდიასა და ფიჯის ალთქმულ მიწაზე მხოლოდ ახალგაზრდული გუნდები ჰყავდათ, ხოლო სამხრეთაფრიკელები პროვინციათა ნაკრებების მოთამაშეებით გამოვიდნენ.

საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა იერუსალიმის ტურნირის ფინალში შარშანაც გააღწია, მაგრამ მაშინ ჩვენებურებმა ფიჯის ნაკრებს ვერაფერი მოუხერხეს და პირველობა კუნძულელებს დაუთმეს. ამჯერად კი ბოძებული შანსი „ბორჯღალოსნებმა" მშვენივრად გამოიყენეს და იერუსალიმის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ. სავსებით შესაძლო იყო, შარშანდელი ფინალი წლეულსაც განმეორებულიყო. ნახევარფინალში ხომ ჩვენმა მორაგბეებმა სამხრეთ აფრიკის მძლეველი ჰოლანდიის ნაკრები გაანადგურეს 25:5, მაგრამ მეორე ნახევარფინალში ტურნირის მართლაც აღმოჩენამ, აშშ-ის ნაკრებმა ახალი ზელანდიის დაჩოქება არ იკმარა და ფიჯის ახალგაზრდულ გუნდს ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლის შანსიღა დაუტოვა. ფინალში კი ერთმანეთს „ძველი ნაცნობები", საქართველოს და აშშ-ის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. „ბორჯღალოსნებს" ტურნირის პირველ მატჩში განცდილი მარცხისთვის რევანშის ჩინებული შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ თამაშის დასაწყისი ქართველებს კარგს არაფერს უქადდა. ამერიკელთა ლიდერმა მალაკაი დელაიმ მარჯვენა ფლანგზე გაილაღა და თავისიანების პირველი ლელოც გაიტანა. რამდენიმე წუთში ბადრი ხეხელაშვილმა წონასწორობა აღადგინა, მაგრამ დელაიმ „ბორჯღალოსნები" კვლავ დაალელოვა და რომ არა ქართველთა თავგამოდებული თამაში, აშშ-ის ნაკრებს წინ ველარაფერი დაუდგებოდა.

„ბორჯღალოსნებმა" ბოლომდე იბრძოლეს და ანგარიში კვლავ გაათანაბრეს. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ტურნირის გამარჯვებულის ვინაობა დამატებით დროში უნდა გარკვეულიყო, მაგრამ პალიკო ჯიმშელაძემ მატჩის ბოლო წუთზე მეტოქის ლელოში შეღწევა მოახერხა და ამას ზუსტად შესრულებული გარდასახვაც მიაყოლა. რევანში შედგა 21:14. ქართველებმა დაამტკიცეს, რომ ამერიკელებთან პირველი მარცხი შემთხვევითობა იყო, ებრაულმა გაზეთებმა კი ჩვენს მორაგბეებს ქება არ დააკლეს. აგრესიულნი, ლომგულები, ბოლომდე მებრძოლი რკინის ლომები, აი, ასე მოიხსენიებდა საქართველოს ნაკრებს „ჯერუზალიმ პოსტი". ვულოცავთ ბიჭებს ამ გამარჯვებას და მსოფლიო თასზე წარმატებას ვუსურვებთ.

**ბაჩო სვანიძე**



პალიკო ჯიმშელაძე (ბურთით) უცხოელებთან ჭიდილს ნაჩვევია

| |
|---|
| მესამე წრე. I ტური |
| თბილისი |
| 8 სექტემბერი |
| ლოკომოტივი 1 24:12 (6:9) ყოჩები |

| |
|---|
| მესამე წრე. I ტური |
| თბილისი |
| 8 სექტემბერი |
| აია 5:24 (5:12) დავითები |



# ბარეევმა აზმაიფარაშვილს წაგებული მოუგო

**საქმეს** სასიკეთო პირი უჩანდა — ჩინურ შენიანში მიმდინარე მსოფლიოს თასის მეოთხედფინალში ზურაბ აზმაიფარაშვილმა რუს ევგენი ბარეევს ორიდან პირველი პარტია შავებით მოუგო. პირცი-უფიმცევის დაცვაში ქართველმა უკვე მესამე სვლაზე გადაუხვია გაკვალულ სადებიუტო გზებს და ნაკლული პაიკის ფასად ჩინებული პოზიცია ააგო. მერე ბარეევმა ხარისხი უხეიროდ შესწირა და როცა საქმეები აერია, ნახევარი ქულის გადარჩენაც ამაოდ სცადა. „ზურაბი ცივი და ზუსტი იყო" — შენიშნავს დიდოსტატი სერგეი შიპოვი პარტიის კომენტირებისას. მეორე პარტიაში ქართველს თეთრი ფიგურებით ყაიმიც ჰყოფნიდა, რაც თანამედროვე დებიუტების დონის გათვალისწინებით საკმაოდ მისაწვდომი ამოცანა იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ბარეევმა პოზიცის დაბლანდვა მოახერხა და ქულა მოიგო, ისევე როგორც პირველი პარტია ორი ბლიციდან; მეორე ყაიმით დასრულდა და ნახევარფინალის თითქმის „გაქართველებული" ადგილი ბოლოს მაინც რუსმა წაიღო. ბარეევი ჩინეთში ჩინებულად მოთამაშე. ბრაზილიელ ჟილბერტ მილოშს შეხვდება, მეორე წყვილი კი ბევრად მძიმეა: ნახევარფინალში უდრტვინველად გასული ვიშვანათან ანანდი ბლიცებდაჭირვებულ ბორის გელფანდთან ითამაშებს.

**დავით გულუა**





REUTERS

მარატ საფინი

# მახინჯი ჩოგბურთი

**კაცები. მეოთხედფინალი. მარატ საფინი (6, რუსეთი) — ნიკოლას კიფერი (14, გერმანია) 7:5, 4:6, 7:6 (7:5), 6:3**

ბრწყინვალედ ჩატარებული მერვედფინალური შეხვედრების შემდეგ გადაიწვნენ თუ ნახევრად ცარიელ ცენტრალურ კორტზე ასპარეზობამ აუცრუათ გული, ძნელი სათქმელია, მაგრამ მარატ საფინისა და ნიკოლას კიფერის მეტისმეტად გაწელილი მატჩი საოცრად მოსაწყენი გამოდგა.

მოთამაშეები თითქოს ემოციებისგან დაცლილნი, გამოფიტულნი მოძრაობდნენ კორტზე, არც არაფერი ახარებდათ და მოგების სურვილითაც დიდად არ იწვოდნენ, თუმც რატომღაც კორტის დროულად დატოვებაც არ სურდათ.

ერთი შეხედვით საინტერესო მეოთხედფინალის მცირე ინკვიზიციად ქცევაში ლომის წილი ენერგეტიკულმა ვამპირმა ნიკოლას კიფერმა დაიდო. 23 წლის გერმანელმა მონუსხა მეტოქე, თამაშის თავისეუალი, მკვდარი სტილი მოახვია თავს და ჰიპნოზის ტექნიკაში მცირე ხარვეზები რომ არა, მშვიდად მოახრჩობდა.

მარატ საფინი გონს მხოლოდ მაშინ მოდიოდა, როდესაც რომელიმე ხელის წაგების საფრთხის წინაშე დგებოდა. მცირე ხნით გამოცოცხლებული მძიმე სიტუაციას თავს დააღწევდა და მაშინვე თვლემა ერეოდა. ასე გადაარჩინა ზორბა რუსმა პირველი და მესამე სეტები, რომლებშიც შესაბამისად, 2:5 და 3:5 ჩამორჩა და მატჩის გამარჯვებამდე მისაყვანად სამ საათზე მეტიც დასჭირდა.

„ყოველი მეტოქის უნდა გეშინოდეს, ეს სტიმულს და ადრენალინს გმატებს. თუ კორტზე ისე გახვალ, როგორც პლაჟზე, მუდამ წაგებული დარჩები — აღნიშნა მოგვიანებით საფინმა და კითხვა, ბოლო მატჩებში ჩოგნებს რად აღარ ამტვრევდა, იოლად მოიგერია — თუ მერე ჯარიმებს თქვენ გადამიხდით, რამდენსაც გინდათ, იმდენს დავამტვრევ. მარტო წლეულს 10 ათასი დოლარი წამართვეს ჯარიმებში. იცით, რას ვიზამდი ამ 10 ათასით? არა, ჯობს, არ იცოდეთ".

თავის მხრივ კიფერმა მეტოქეს ქება არ დააკლო: „მის წინააღმდეგ თამაში ძალიან ძნელია. არ გამიკვირდება, თუ აქ ჩემპიონი გახდება, თავდაჯერება სულ უფრო ემატება, სამპრასს კი რამდენიმე კვირის წინ მოუგო".

**ტოდ მარტინი (აშშ) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:4, 6:4, 3:6, 7:5.**

მარათონელმა ტოდ მარტინმა ამჯერად საკუთარ თავსა და ქომაგებს ნერვები აღარ დააწყვიტა და შვედ ტომას იოჰანსონს დიდი გაწამაწიის გარეშე აჯობა.

თუმცა გამარჯვება იოლად მაინც არ მოსულა. პირველი ორი სეტის მოგების შემდეგ ამერიკელს ერთბაშად მკლავიდან ძალა გამოეცალა და კარგა ხანს მოძრაობაც უჭირდა. მეოთხე ხელშიც თავიდან იოჰანსონი დაწინაურდა, მაგრამ მერე მსაჯის ერთი გადაწყვეტილებით გაღიზიანებულმა სულ აურია და უპირატესობა მეტოქეს გადააბარა.

„არ არის აუცილებელი, ლამაზად ითამაშო, ზოგჯერ წარმატებას სწორედ მახინჯი ჩოგბურთით მიაღწევ. როდესაც გიჭირს და მთავარი შედეგია, გიჯობს, ტუჩები მოკუმო და შავ მუშად იქცე" — ეს მარტინის სიტყვებია.

**ავთანდილ სვანიძე**

## სხვადასხვა

**დაივიწყეთ** ნიკ ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემია. მომავალ ვარსკვლავთა ნამდვილი კერა ფლორიდა კი არა, მოსკოვის „სპარტაკის" კლუბია — წლევანდელ აშშ-ის ღია პირველობაზე მისი ერთბაშად სამი აღზრდილი გამოირჩა.

აქ ისწავლა საჩოგბურთო ანბანა ყველაზე მოულოდნელმა ნახევარფინალისტმა ერთეულებში, 18 წლის ელენა დემენტიევამ. თბილისში ნამყოფი რუსის პირველი მწვრთნელი კი რაუზა ისლანოვა გახლდათ, კიდევ ერთი ნახევარფინალისტის, მარატ საფინის დედა.

„მე და ელენა ხანდახან ერთად ვვარჯიშობდით, მაგრამ თამაში არ იცოდა, სულ ვანადგურებდი" — იხსენებს ახლა საფინი. სამაგიეროდ, „სპარტაკის" საჩოგბურთო სკოლის კიდევ ერთ, ყველაზე ცნობილ წარმომადგენელთან, ანა კურნიკოვასთან მარატი თავიდან გამუდმებით მარცხდებოდა.

„ოუფენზე" პლანეტის ყველაზე პოპულარული სპორტსმენი ქალი შერეული წყვილების ფინალში გავიდა ბელარუს მაქს მირნისთან ერთად, სადაც გუშინ ჯარედ პალმერისა და არანჩა სანჩეს-ვიკარიოს დუეტთან წააგო.

„სპარტაკის" ვუნდერკინდთა სია ამით როდი მთავრდება — რაუზა ისლანოვა საჩოგბურთო სამყაროს კიდევ ერთ სიურპრიზს უმზადება მარატის დის, დინარას სახით.

* * *

**გუშინ** გაუწყეთ, რომ როლან გაროსის ჩემპიონი გუსტავო კუერტენი სიდნეიში სპონსორებისა და ბრაზილიის ოლიმპიური კომიტეტის დავის გამო არ იასპარეზებდა. მაგრამ ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავის დაკარგვის უსიამოვნო პერსპექტივამ ბრაზილიელები შეაფუცხუნა და გამოსავალიც მოიძებნა.

კუერტენის პირადი სპონსორი „დიადორა" და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეთანხმდნენ, რომ „გუგას" ტანისამოსზე არც ერთი ფირმის ემბლემა არ ექნება, მაგრამ თუ ერთ-ერთ მედალს მოიპოვებს, ბრაზილიის გუნდის სპონსორის, „ოლიმპიკუსის" ფორმას ატარებს.

**სამაგიეროდ, ავსტრალიელები დანამდვილებით ვერ იხილავენ მსოფლიოს პირველ ჩოგან ანდრე აგასის. ამერიკელმა მწვანე კონტინენტზე წასვლას მკერდის სიმსივნით დაავადებული დედისა და დის გვერდით დარჩენა არჩია.**

* * *

**ავსტრალიელი** პატრიკ რაფტერი მზადაა, შეურიგდეს თავის მომავალ თანაგუნდელს სიდნეის ოლიმპიადაზე მარკ ფილიპუსისს. ამ ზაფხულში, უიმბლდონზე ჩოგბურთელებს შორის შავმა კატამ გაირბინა.

„სკადმა" ავსტრალიის დევისის თასის გუნდში ბრაზილიელების წინააღმდეგ თამაში მოულოდნელად იუარა, რაზეც რაფტერმა მიუგო, გვყოს ჩვენი გასულელებაო. ცეცხლზე ნავთი მოგვიანებით ლეიტონ ჰიუიტმა გადაასხა, ფილიპუსისი ფინალისთვისაც არ გვჭირდებაო.

ახლა კი რაფტერი ყველას მოუწოდებს, ძველი წყენა დავივიწყოთო. „თუ სადმე შევხვდები, დიდი სიამოვნებით მივესალმები მარკს. არ მინდა, გუნდში ცუდი ატმოსფერო შეიქმნას, ჯობს, უთანხმოება წინასწარ მოვაგვაროთ. იმის წინააღმდეგნიც არ ვიქნები, რომ ჩვენ ოლიმპიურ სოფელში ერთსა და იმავე ოთახში დაგვაბინავონ".




ელენე დემენტიევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გერმანია

IV ტური

უნტერჰახინგი 0:0 ლაუტერნი

II ბუნდესლიგა

IV ტური

მაინცი 2:4 არმინია

ზაარბრიუკენი 2:1 ჰანოვერი

### ინგლისი

II დივიზიონი

III ტური

უიკომბი 3:1 ოქსფორდი

### ჩეხეთი

VI ტური

სინოტი 2:2 ლიბერეცი

დრნოვიცე 3:0 ბანიკი

### თურქეთი

IV ტური

ადანა 1:1 ბეშიქთაში

### იტალია

სუპერთასი

ლაციო 4:3 ინტერი

0:1 კინი (3), 1:1, 2:1 ლოპესი (33, 39), 3:1 მიხაილოვიჩი (47 პ), 3:2 ფარინოსი (62), 4:2 სტანკოვიჩი (76), 4:3 ვამბეტა (76)

### ჰოლანდია

IV ტური

სიტარდი 0:3 პსვ

0:1 ბრუგინკი (13), 0:2 კეჟმანი (44), 0:3 კლაუდიო (79)

### ავსტრია

გადადებული მატჩი

ტიროლი 1:0 რაპიდი

### შვეიცარია

X ტური

ბაზელი 1:1 ციურიხი

1:0 კრიოცერი (65), 1:1 ჩაველაშვილი (75)








# ერთი კვირაც...

აბა, ჰა. ჩამსვლელი ჩადის, ჩასული ვარჯიშობს, დამხვდური ლაღობს და ასე. სიდნეიში უკვე ყველაფერი ოლიმპიურია. რა თქმა უნდა, მელბურნშიც. აი, მელბურნის „ნაიკის" მაღაზიის კედელიც სიდნეის ამბებს დასტრიალებს. ავსტრალიის მძლეოსნობის ვარსკვლავები კეტი ფრიმენი (მარცხნივ) და ჯორჯი კლარკი დიახაც რომ გოლიათებად გამოიყურებიან ერთ ჩვეულებრივ გამვლელ გულივერთან შედარებით.

სიდნეის ოპერის ახლო კი, ზვიგენთა წინააღმდეგ მებრძოლი ნიკ მარტინი ზღვაში ხტება, რათა წყალქვეშეთი დაზვეროს. ზვიგენის წინააღმდეგ საბრძოლო საგანგებო სამოსში გამოწყობილი ეს კაცი იმ ჯგუფის უფროსია, ტრიატლონისტთა გაცურვის დღეებში სპორტსმენებს რომ წყალქვეშ მიჰყვება და ზვიგენთა შემოტევისგან დაიცავს.

აბორიგენებიც თავის ადგილას არიან, ეროვნულ ცეკვებით ეგებებიან ჩამომსვლელებს. რა დასამალია და, ეს ცეკვები კაი მასპინძლობისა და კეთილგანწყობის გამომხატველია, თორემ ავსტრალიელებს ისეთი ცეკვებიც აქვთ, შექმის მუქარას რომ გულისხმობს.

ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრები კი უკვე ამხანაგურ მატჩებს მართავს ავსტრალიის ყარტაყურტა გუნდებთან. ერთ-ერთი ასეთი თამაშის შესვენებისას ლაღობს თავდამსხმელი რონალდინიო, რომელიც კისერზე ერთბაშად ორი ბურთის გაჩერებას ლამობს. ერთი ბურთის გაჩერებაში ქართველნიც ყოჩაღნი ვყოფილვართ, ორზე კი სამუშაო გვაქვს.

ეჰ, მთელი რვა წელიწადია გასავლელი, სანამ ჩინეთის დედაქალაქი პეკინი ოლიმპიადას ან უმასპინძლებს, ან არა, მაგრამ ამ კომუნისტურ-კაპიტალისტურ ქვეყნის თავკაცობამ უკვე ისეთი კამპანია გააჩაღა, რომ ყოველ ნაბიჯზე ოლიმპიურ იდეალთა მქადაგებელ პლაკატებს გადაეყრები. აი, წიგნის გამყიდველი, რომელსაც ხელში ასი იუანი უჭირავს და ზურგსუკან პლაკატი უჩანს. აი, ბიჭი, რომელიც ქუჩაში დასასვენებლად ჩამომჯდარა.









სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მექვაბია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge